ოქტომბერი
1933 წ.
№ 94

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
OCTOBRE
1933—№ 94

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

მ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—კავკასიის პერსპექტივები.
შეგნებულათ თუ შეუგნებლათ?
კაჟი—მომავლის პერსპექტივები.
ალ. ასათიანი—ქართული უკლონიზმი.
ხარბინის ქართველობა.
უცხოეთის მიმოხილვა.
კასაპერი—ღოლუვკოს მკვლელთა პროცესი.
ბიბლიოგრაფია.
საქართველოს ამბები.
კავკასიის ამბები და სხვ.

კავკასიის პერსპექტივები

დიდი ომის გათავებიდან, ამ 15 წლის განმავლობაში, ჯერ არავის ახსოვს ისეთი ხანა, სავსე საერთაშორისო სიურპრიზებით, ასაფეთქებელი მასალით, ახალი ომის საშიშროებით, როგორსაც დღეს განვიცდით. მშვიდობიანობის ტაძარი, ერთა ლიგა, შარშან იაპონიამ დატოვა, ეხლახან—გერმანიამ, შერთებული შტატები და რუსეთი არც კი შესულან იქ, და საეჭვოა, შესძლებს თუ არა მის ფარგლებში მუშაობას სამი დანარჩენი დიდი სახელმწიფო: საფრანგეთი, ინგლისი, იტალია. განიარაღების კონფერენცია, მოწვეული ერთა ლიგის მიერ, სულს ღაფავს, და მონაწილენი, დიდი და პატარა სახელმწიფონი, საცაა გაიყრებიან, თვითეული თავის თავზე მინდობილი, ან კიდევ ჯგუფ ჯგუფად დაყოფილნი, ევროპაში, რასაც უნდა მოჰყვეს ძველი წონასწორობის აღდგენა თავისი თანდაყოლილი საიდუმლო დიპლომატიით. ასეთივე ბედი ეწვია ამ ზაფხულს ლონდონის მსოფლიო ეკონომიურ კონფერენციას, რომელმაც არამც თუ ვერ სძლია მის წინ დასმული ამოცანა, კიდევ უფრო გაამწვავა და გააღრმავა იგი.

ეკონომიურს პოლიტიკური კრიზისიც ზედ ერთვის, ფართე მასებს ეკარგვის რწმენა საქმის გამობრუნებისა ჩვეულებრივი დემოკრატიული გზით, პარლამენტარული კანონმდებლობით, მათ იპყრობს ჯანყის სული, სტიქია, რასაც მოყვა სახელმწიფო გადატრიალებანი, დიქტატურა, და ეს უკანასკნელი კი, განთავისუფლებული ყოველგვარ კონტროლისგან, უფრო ადვილათ ადავარდება საომარ ავანტიურებში, რისი მაგალითი ასე ბევრია ისტორიაში.

ამ კრიტიკულ ხანაში, როცა უდიდესი ამოცანები სდგას კაცობრიობის წინაშე, როცა, შეიძლება ითქვას, ძაფზე ჰკიდია დიდ სახელმწიფოთა ბედი, განა შეიძლება კავკასიის პერსპექტივებზე ლაპარაკი? ვის ახსოვს ის, ვინ იმტვრევს მისთვის თავს? მაგრამ განა ასე არ იყო 1914 წელს, ვინ მოელოდა 1918 წელს? ვის მოეზმანებოდა კავკასიის ერთა დამოუკიდებლობა, მათი ცნობა სხვა სახელმწიფოთა მიერ?

კიდევ მეტი, წარსულთან შედარებით დღეს ჩვენ უფრო მომზადებული ვართ, გამოცდილი, ცხადათ ვიგემეთ გამარჯვების სიტკბოება, დამარცხების სიმწარე, შეგვიძლია დასკვნაც უფრო პრაქტიკული გავაკეთოთ. 1918 წელს ჩვენ თითქო თავზე დაგვატყდა ბედნიერება, თუ გნებავთ, ეს ერთი მიზეზთაგანი იყო, რომ უბრძოლველათ მოპოებული ასე ადვილათ გაგვისხლტდა ხელიდან. დღეს არამც თუ სიზმრად, ცხადათ გვაქვს დასახული დამოუკიდებლობა, გვწამს იგი, ვიბრძვით მისთვის, რამდენი სისხლი გაიღეს კავკასიის ერებმა მის აღსადგენათ! არც უცხო დიდ და პატარა სახელმწიფოთ უკვირთ ეს ჩვენი მისწრაფება, პირ-იქით, მათ გაუკვირდებოდათ ჩვენ მიერ იარაღის დაყრა.

პირველი ომის შედეგი იყო მრავალ ერთა განთავისუფლება, ოთხი მონარქიის დალეწვა, მათ შორის რუსეთის იმპერიის და მის დასავლეთ განაპირა

ქვეყნების დამოუკიდებლობა, ცხადია, ჯერი დანარჩენ არარუს ერებზე მიმდგარა, ეს გარდაუვალია ისტორიულათ, ფსიქოლოგიურათ, მთელი ცივილიზაციის წინსვლით. მაგრამ ომი სწორეთ ცივილიზაციას ემუქრება, უქადის მას დედა-მიწიდან აღგვას, გვსურს ეს ჩვენ? არა, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენ ვინ გვკითხავს? არავინ. მაშასადამე, აქ არაა ლაპარაკი ეგრ. წოდ. საომარ კომბინაციებზე, არამედ იმაზე, ვართ თუ არა ჩვენ მომზადებული, კაცობრიობას რომ ეს ახალი უბედურება თავზე დაატყდეს. როგორია მდგომარეობა რუსეთში, არარუს ქვეყნებში, კავკასიაში?

კომუნიზმი რომ სასტიკათ დამარცხდა შინ და გარეთ, ეხლა არავისთვისაა სადაო. დარჩა მხოლოდ სტალინის გაშიშვლებული დიქტატურა, მოკლებული ყოველგვარ საფუძველს, გარდა ხიშტებისა. კითხვა არაა, იბოგინებს თუ არა დიქტატურა, კითხვაა, რამდენ ხანს იბოგინებს. კავშირის გლეხობა პასიური წინაამდეგობით საძირკველს ულრნის მას და ადრე თუ გვიან წააქცევს,—ესაა, ასე ვსთქვათ, ნორმალური პროცესი. მაგრამ არანორმალური პროცესიც თითქო გამორიცხული არაა, ჩვენ სახეში გვაქვს გართულება შორეულ აღმოსავლეთში.

მოსკოვი გრძნობს ამ საშიშროებას, აქედან ლიტვინოვის პაქტები, რუსეთ-საფრანგეთის «ალიანსის» აღდგენის ცდა, რომანოვთა პოლიტიკის გამოცოცხლება, რაიცა მთავარი ღერძია ძველებურ წოდასწორობისა. მაგრამ სტალინის «იმპერია» ის არ არის, რაც იყო ნიკოლოზ უკანასკნელის დროს, პირველი შორს ჩამორჩება მეორეს ძალით, მორალით, პრესტიჟით. როცა მანჯუსკო უტევს რუსეთს და უკან ახევინებს, ეს კიდევ არ არის, შეიძლება, სისუსტის მომასწავებელი, რადგან აქ იაპონია ეზმანება, მაგრამ, როცა მოსკოვი ტოკიოსა სთხოვს თავდაუსხმელობის პაქტი დავსდოთო და უარს ღებულობს, ეს კი ჩარხის ისეთ მოტრიალებას ნიშნავს, თითქო ივანე კალიტას მოსკოვი ამდგარიყოს, როცა მას არც ციმბირი ებადა, არც უკრაინა, არც თურქესტანი, არც კავკასია!

მაგრამ ერთი განცვიფრებითი ნიშანი მაინც უნდა დავსვათ! რამ გააგულიანა მოსკოვი, როგორ გაბედა მან იაპონიის საიდუმლო მიწერ მოწერის გამოქვეყნება? ალბათ განახლებული «ალიანსის» იმედით, ამერიკის მიერ ცნობის მოლოდინით, მაგრამ ისიც კია, ვინ იცის, იქნება სტალინს გმირულათ სიკვდილი მოუწადინებია, როგორც ერთ დროს ტროცკის, სანამ პრინკიპოში ამოყოფდა თავს. რატომ ერეკება, მეორეს მხრით, იაპონია რუსეთს მანჯურიის რკინისგზიდან, ისედაც ხომ ბატონი და პატრონია იქ? უკეთ შერჩეული მომენტი მას არც კი ელანდებოდა ალბათ. ევროპა და ამერიკა თავის საქმეებში ჩაფლული, უმწეო სტალინი, თავის ხიშტზედ მჯდომი, ერთი დარტყმა და ზედ დაენცობა! აქ კიდევ ვინ იცის, იქნება გეპეუს განგებ შეაჩეჩეს ყალბი დოკუმენტები, რადგან გვჯერა, ათასჯერ გვჯერა, გეპეუს თვითონ არ შეუთხზავს ისინი. ამ რიგათ, ვუბრუნდებით 1904 წელს, როცა კუროპატკინი, ხატებით დატვირთული, იქით მიიწევდა, როცა კუროკი აქეთ მოიწევდა...

როგორია რუსის ხალხის სულისკვეთება? ყველა ცნობები ერთხმათ ადასტურებენ, ხალხი ომისგან ელის ხსნასო. ემიგრაციაში ეს უდაოთ არის აღიარებული, დაწყებული მენშევიკ-ესერებით, გაგრძელებული კადეტებით... უკაცრავათ, მემარჯვენენი სტალინის, ე. ი. რუსეთის დამარცხებას აწერენ თავის დროშაზედ. ისინი ყველანი თავისებური პატრიოტები არიან, ევროპაში გაპატრიოტდენ, შინ როდი იყვნენ ასეთნი, ამიტომ ამოყვეს აქ თავი, ესეც ძველი ისტორიაა.

როგორ გუნებაზე არიან არარუსნი, ჩაგრული ერები? ესენი მხოლოდ მოხდენილ მომენტს ელიან, რომ კისრიდან გადაიგდონ უღელი, სოციალური და ეროვნული, სულ ერთია, საერთაშორისო თუ სამოქალაქო ომს მოყვება იგი.

ჩვენ არ გვესმის ამ უკანასკნელათ კავკასიიდან აჯანყებულთა, პარტიზანთა ბრძოლის ხმა, ერნი მიყუჩულან, გარინდულან; გლეხები იმარჯვებენ «მუჟიკის» ტაქტიკას, წინაამდეგობას უწევენ, მაგრამ შეიარაღებულ შეტაკებამდე არ მიყავთ საქმე. შენიშნულია აგრეთვე არარუს კომუნისტების ერთი ნაწილის პატრიოტებისკენ თვალის დაჭერა, წინასწარ პატიებას თხოულობენ. მაშასადამე, სეპარატიულ გამოსვლების დრო წავიდა, ერნი საღი ინსტიქტით გრძნობენ, რომ საჭიროა ძალების დაზოგვა, შემონახვა საერთო კონცენტრიულ დაკვრისათვის. წარსულმა გამოსვლებმა, ურთიერთმა დაძმობილებამ ამის ნიადაგი კიდეც შექმნა ბრძოლის ველზე; შორს არაა ის დრო, როცა სომეხი თათარს უდგა გვერდში, მთიელი ქართველს და ოთხივენი ერთმანეთს საოკუპაციო ხელისუფლების დასამხობათ.

ასეთ სულისკვეთებას შინ, საჭიროა მომზადებულათ შევხვდეთ გარეთ. როცა ერნი ირაზმებიან კავკასიაში, აუცილებელია, რომ მათი წარმომადგენელნი დაირაზმონ საზღვარ გარეთ. შეიძლება პერსპექტივები არც ისე ადვილი გასაზომი იყოს ამ დროებით, შეიძლება ისინი დაფარულია სხვა უფრო მნიშვნელოვანი ინტერესების შეჯახებით, მაგრამ ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც უდაოა: თუ დადგა განკითხვის ჟამი საბჭოთა კავშირში ან მის გადაღმა, კავკასიის პრობლემა არ დააყოვნებს საერთაშორისო პრობლემად იქცეს. არიან სახელმწიფონი, რომელნიც დღესაც არ მალვენ კაბინეტებში თავის დაინტერესებას კავკასიით, ზოგნი ეკონომიური, ზოგნი პოლიტიკური მოსაზრებით. მოსკოვიც კარგათ ამჩნევს, რომ კავკასია, ვლადივასტოკის შემდეგ, უსუსტესი წერტილია კავშირის სხეულზედ; საკმარისია დაიწყოს რღვევის პროცესი, პირველი კავკასია გადგება განზე; მაგრამ არც ისაა შეუძლებელი, რომ მას სხვებმა ჩასჭიდონ ხელი!

მაშასადამე, კავკასიელ პასუხისმგებელ პირთა და წრეთა ფხიზელი, ენერგიული, გაორკეცებული მუშაობა უცხოეთში მათ მიერ წარმოდგენილ ერთა სასიცოცხლო ინტერესს შეადგენს. მათ უნდა დაანახვონ ნათლათ, გარკვევით უცხოელ პასუხმგებელ პირებს და წრეებს კავკასიის ერთა მთლიანობა, პოლიტიკური და ეკონომიური, ისტორიული და დღევანდელი, აგრეთვე ხვალინდელი პერსპექტივები. უცხოეთის სიმპატია და თანაგრძნობა დიდი საქმეა თავის თავათ, პროპაგანდა და აგიტაცია სიტყვით და კალმით ამისათვის სავალდებულოა, რა თქმა უნდა, მაგრამ პასუხისმგებელმა კავკასიელებმა უნდა ეცადონ, რომ ეს სიმპატია და თანაგრძნობა აქტიური გახდეს, ე. ი. საქმეში გამოიხატოს, დიპლომატიურ და სხვა სფეროებში, საერთაშორისო თუ ნაციონალურ ფარგლებში.

ეს ორგანო მთელი წლის განმავლობაში ეწეოდა პროპაგანდას კავკასიის კონფედერაციის სასარგებლოთ, თავისთავათ მისახვედრია, რომ ის კვლავაც განაგრძობს ამ მუშაობას, ეს სასარგებლოა ჩვენი ხალხის მიერ ამ იდეის მტკიცეთ შესახორცისხლებლათ, ასე უნდა მოიქცეს. მეზობლების პრესაც, მაგრამ ეს არ კმარა,—საჭიროა საერთაშორისო ასპარეზზედაც დავაყენოთ თავის სიგრძე-სიგანით ეს კითხვა. საჭიროა მკაფიოთ ვაჩვენოთ უცხოელებს, როგორ გვესმის ჩვენ კავკასიის უშუალო შესვლა მსოფლიო ეკონომიაში, პოლიტიკაში, რას შესძენს ის მათ ორთავე დარგში. სიმპატია კარგი საქმეა, მაგრამ, როცა ის ემყარება რეალურ ინტერესებს, გაცილებით მეტია, ნაყოფიერი, შედეგიანი.

დრო არ იცდის, მდგომარეობა იმპერატიულათ გვიკარნახებს კავკასიის კონფედერაციის საერთო ხელმძღვანელ ორგანოს დაარსებას. საკმარისი არაა იდეები გქონდეს, საჭიროა მათი განსახიერება, გასაღება, ვის შეუძლია ეს, თუ არა საერთო კავკასიურ ორგანოს?

ვიჩქაროთ, სანამ გვიან არაა!

შეგნებულათ თუ შეუგნებლათ?

ჩვენი ორგანოსთვის წესად იქცა, თავის თავათ და ბუნებრივათ, არ გამოვეხმაუროთ ქართულ ფურცელს, «თეთრი გიორგად» წოდებულს. სულ პირველათ მხოლოდ, როცა კარგათ არ ვიცოდით მისი ავან-ჩავანი, ერთი პატარა შენიშვნა ვუძღვენით მას. ჩვენა ვსთქვით მაშინ, რომ არავის ნება არა აქვს საქართველოს სახელმწიფო ღერბი სახელად დაირქვას და თავისი ურა-პატრიოტიზმი მას ამოაფაროსთქო.

ეხლა ჩვენ მეორეთ ვარღვევთ სიჩუმეს და ეს გამონაკლისი მხოლოდ მიღებულ წეს ადასტურებს. რამ გამოიწვია ეს? ვინმე სოლომონ მაჭავარიანის წერილმა, შემკულმა ისეთი ლანძღვა-გინებით... «სიმყრალით»—ავტორის რჩეული სიტყვაა—, რომ მკითხველის გემოვნების შელახვა იქნებოდა მასზე პასუხის გაცემა. ჩვენ ვაქცევთ მის ყურადღებას მხოლოდ ერთ ფრაზას: საქართველოს საელჩოს «გაუქმება დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს». ხაზი ჩვენ გაუსვით, რომ მით სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ მისი ავტორი. აი, როგორ «ქართველთან» გვაქვს საქმე! ჩვენ ვიცით, ვისთვისაა «დადებითი მოვლენა» საელჩოს მოხსნა—ჩვენი მოსისხლე მტრისათვის, მოსკოვისთვის. ამაზე შორს წასვლა შეუძლებელია, ლანძღვა-გინება ზედმეტია, ამაში უპირატესობა რიგით და წესით ქართველ-მოსკოვიტს ხვდება.

ვინმე სოლომონ მაჭავარიანს თავისი საბუთიც ჰქონებია: საელჩომ სიყალბე ჩაიდინაო, ელჩმა თავისი წინამოადგილე საბა-სულხან «სამარეში გადააბრუნაო». რასაკვირველია, თვითონაც არ სჯერა ასეთი ბრალდება, არც გამბედაობა შესწევს გვამცნოს თვითონ ვინა ბრძანდება, რომ ასეთი მძიმე ცილისწამება უკისრნია. მას უხარია «საელჩოს გაუქმება», ბანს აწევს მტერს, ჯილდოსაც მიიღებს მისგან, მაგრამ ამისათვის ჯერ ფსევდონიმი უნდა გახსნას, აბავის მისცეს ჯილდო!

ამით ვათავებთ ჩვენ მოკლე «პოლემიკას». საქართველო, ქართველი ერი ისე არ დაძაბუნებულა, რომ, აღადგენს თუ არა უზენაეს ხელისუფლებას, თავისი ადგილი არ უჩვენოს მის სახელმწიფო ღერბის შეურაცხმყოფელთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავლის პერსპექტივები

ბრიტანეთის პოლიტიკა ბრიტანეთის ვაჭრობაა, ამბობდა ინგლისის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე პიტტი.

— იმპერია ვაჭრობა არისო, განიმეორა ომის წინ არანაკლებათ ცნობილმა ჩემბერლენმა.

ეს შეხედულება ინგლისელ პოლიტიკურ მოღვაწეთათვის უდაო დებულებას წარმოადგენს. ამაში შეთანხმებული არიან კონსერვატორები და ლიბერალები, სოციალისტები და ტრედ-იუნიონნები. დიდი ბრიტანეთი წარმოშვა ვაჭრობა-აღებმიცემობამ და ამ ჟამათაც ინგლისის სახელმწიფოს მეთაურთა პოლიტიკის ღერძს წარმოადგენს, შეუქმნან თავის სამშობლოს მსოფლიო ბაზარზე კარგი სავაჭრო პირობები.

მაგრამ ეს მოვლენა მარტო ინგლისის თვისებას არ შეადგენს. იგი ახასიათებს ყველა თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოს. ყოველი მათგანი ცდილობს ხელსაყრელი პირობები ქონდეს მსოფლიო ბაზარზე, რათა მეტი გაყიდოს და ნაკლები იყიდოს. უკანასკნელ დრომდის ამას კაპიტალისტური სახელმწიფო აღწევდა მომხმარებლისთვის საქონლის იაფათ მიწოდებით და მსოფლიო ბაზარზე პოლიტიკის საშვალებით თავისთვის პრივილეგიების შექმნით. იმპერიალიზმი, ე. ი. შეიარაღებული ძალით მსოფლიო ბაზარზე ადგილის მოპოვება და იქ გამაგრება, მთავარი საშვალება იყო. მსოფლიო ომის მთავარ ამოცანას ეს წარმოადგენდა. მაგრამ ი

ეს ციფრები გვეუბნებიან მას, რომ ორ უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის მსოფლიო ბაზარზე გამარჯვება ისევ ინგლისს დარჩა და შეერ. შტატებმა პირველობა მას დაუთმეს. ამ რიგათ საზოგადოებაში გავრცელებული აზრი, რომ ინგლისი დამარცხდა და მსოფლიო ბაზარზე ამერიკა ბატონობსო, სინამდვილეს აღარ შეესაბამება. მაგრამ ინგლისმა ეს გამარჯვება მოიპოვა არა მისთვის ჩვეულებრივი გზით—თავისუფალი ვაჭრობით, არამედ საბაჟო გადასახადების შემოღებით და სტერლინგის ღირებულების დაცემით დღეს შეერთებული შტატები მას იმავე ზომებით უპასუხებენ, დოლარს ხელოვნურათ სცემენ და მსოფლიო ბაზარს აფორიაქებენ. დოლარისა და სტერლინგის შორის დაწყებული ომი მსოფლიო მეურნეობისთვის თოფზარბაზნებზე არანაკლები საშიშია.

გერმანიის ვაჭრობის ხვედრითი წილი უმთავრესათ აიხსნება საბჭოთა კავშირთან ვაჭრობით. 1932 წ. საბჭოებმა გერმანიასთან ვაჭრობა შეამცირეს და მის ბალანსაც დაეტყო. 1933 წ. კიდევ უფრო ცუდი იქნება მისთვის. ჰიტლერის სახალხო მეურნეობის მინისტრი შმიტი იძულებული იყო განეცხადებია აგვისტოში—გერმანიის სახალხო მეურნეობა მძიმე ავათმყოფის მდგომარეობაში იმყოფებაო.

უბედურება ის არის, რომ იმპერიალ. სახელმწიფოს ვაჭრობის 1932 წ. პოზიციებზე შეჩერებაც კი უჭირს და თანდათან ქვეით ეცემა. შეერ. შტატების ექსპორტი 1932 წლის აგვისტოში უდრიდა 180 მილ. დოლარს. ამა წლის ავისტოში მიუხედავათ დოლარის დაცემისა, იგი უდრის 131 მილ. დოლარს. იმპორტი 1932 წ. აგვისტოში უდრიდა 150 მილ. დოლარს. წელს—91 მილ. დოლარს.

ერთი სიტყვით, მსოფლიო ბაზარი დღეს უდიდეს კრიზისს განიცდის და უკეთესისთვის გამობრუნების პირი არ უჩანს. ამას კი გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, გარეშე ბაზრის უქონლობით ნაციონალური კაპიტალის დაგროვება შეუძლებელი თუ არა, მეტათ გასაჭირია. განსაკუთრებით ეს ითქმის დღეს, როცა ყოველი ერის სახალხო მეურნეობას მილიონი უმუშევრები აწევს თავზე და მომხმარებლის სყიდვითი უნარიანობა მეტათ დაცემულია.

როგორც ზევით დავინახეთ, შ. შტატ. მსოფლიო ბაზარზე ყველაზე მეტი დაკარგეს. და მიუხედავათ იმისა, რომ იგი ყველაზე დიდი სახელმწიფოა და დიდი შინაური ბაზრის მქონეა, ის ამის გამო მრეწველობის მძიმე კრიზისს განიცდის. ამერიკელები ამბობენ—ფოლადის მსვლელობაზე არის დამოკიდებული ერის ბედნიერებაო. ინდუსტრიალურ სახელმწიფოთათვის ეს ჭეშმარიტებაა. თუ ფოლადის და საერთოთ მეტალის მრეწველობა ყვავის, მაშინ მთელი სახალხო მეურნეობის საქმეც კარგათ არის და პირიქით. შეერთ. შტატების მდგომარეობა დღეს ამ მხრით სახარბიელო არ არის. 1930 წ. ფოლადის მრეწველობა მუშაობდა მხოლოდ 30 პროც. დაჭვირთვით. 1931 წ.—25 პროც. 1932 წ. ვითომ გამოცოცხლება დაეტყო, მაგრამ ბოლოს მაინც 14.3 პროც. დაეცა. ამა წლის პირველ ნახევარში იგი უდრიდა 15 პროც. ხოლო უკანასკნელი ცნობით სექტემბერში, ივლისთან შედარებით, 19 პროც. დაიკლო.

რომ დღევანდელი კრიზისი იყოს ერთი, ან ორი სახელმწიფოს მოვლენა, მაშინ მისი დაძლევა ადვილი იქნებოდა. მაგრამ მით დაავადებულია მთელი მსოფლიო მეურნეობა და ამიტომ კრიზისის დაძლევა შეიძლება მხოლოდ მთელის გაჯანსაღებით და არა ცალკეული სახალხო მეურნეობის გზით.

ცნობილი ეკონომისტი ჯონ. სტ. მილი 1848 წ. თავის შრომაში «პოლიტიკ. ეკონომიის პრინციპები» სწერდა: «წინეთ ყველა პატრიოტის სურვილი იყო, რომ სხვა ქვეყნები სუსტნი, ღარიბნი და მართველობის მხრით ცუდათ მოწყობილნი ყოფილიყვენ, ხოლო მისი სამშობლო კი გამონაკლისი ამ მხრით. ეხლა კი ყველა ხედავს, რომ სხვა ქვეყნების განვითარება და კეთილდღეობა, წარმოადგენს მისი სამშობლოს კეთილდღეობის წყაროსო. უნაყოფო იქნებოდა გვემტკიცებია ერთა ძმობის სოლიდარობის გრძნობა მორალური მოსაზრებით მანამდის, სანამ არ შეგვეძლება დაყრდნობა ინტერესთა ერთობის შეგნებაზე»-ო *).

ინგლისელი ეკონომისტის ეს ჭეშმარიტება დღეს ბევრს აქვს შეგნებული. მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალისტური მეურნეობისა და სახელმწიფოს ბატონი პატრონიც კი დარწმუნდენ, რომ ერთი ერის ბედნიერება მჭიდროთ არის დაკავშირებული მეორე ერის ბედთან, რომ ერთის უბედურება იწვევს მეორისას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ერთა შორის თანხმობის ჩამოგდება ვერ შესძლეს და სახალხო მეურნეობათა საკითხები ვერ მოაგვარეს. ერთა ლიგა და სპეციალურათ მოწვეული ეკონომიური კონფერენციები არა ერთხელ ცდილან ამ კითხვების მოწესრიგებას. არა ერთი და ორი პროექტები დაუმუშავებიათ, მაგრამ კაცობრიობამ მაინც ვერ დაახწია ამ მოჯადოებულ წრეს თავი და ლამის არის უფსკრულში გადაიჩეხოს. არ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის დღევანდელ პატრონთ არ ქონდესთ იმის წარმოდგენა, თუ რას უქადის დღევანდელი კრიზისი კაცობრიობას. აი როგორი აზრი გამოსთქვეს ამა წლის ივლისში ლონდონში მოწვეულ საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე 17 სახელმწიფოს ექსპერტებმა:

«ლონდონის კონფერენციამ, განუცხადეს მათ კრებას, უნდა მოგვცეს მშვიდობიანობის ხელშეკრულება. თუ ეს შეუძლებელი შეიქნა, მაშინ მსოფლიო წავა ნაციონალური ავტარკიის გზებით, რომლებიც სასტიკათ ეწინააღმდეგებიან ნორმალურ ეკონომიურ განვითარების გზებს. ასეთი გამოსავალი ძირიანათ შეარყევს საერთაშორისო ფინანსებს, დასცემს

*) ეს წერილი დაწერილი მქონდა, რომ ოქტომბერში მოხდა ინგლისის კონსერვატორთა პარტიის ყრილობა. მათმა ლიდერმა ბოლდვინმა თავისი წინაპრის ეს აზრი ეპოქის მიდგომით ასე გამოსთქვა: «ბრწყინვალე იზოლიაციის თეორიამ თავისი დრო მოჭამა. ჩვენი საგარეო ვაჭრობა საჭიროებს იმდენათ სხვეებს, რამდენათაც სხვანი გვსაჭიროებენ ჩვენ»-ო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო არსებობის დონეს და შექმნის ისეთ პირობებს, რომლის დროსაც, არსებული სოციალური სისტემა, საეჭვოა, გადარჩესო».

აი მომავალის ასეთი სურათი ეხატებოდათ კონფერენციის მონაწილეთ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, კონფერენცია ვერავითარ დასკვნამდის ვერ მივიდა და უშედეგოთ დაიშალა.

რათ მოხდა ასე?

კონფერენციაზე იყვენ ყველა სახელმწიფოთა საუკეთესო წარმომადგენელნი, მონაწილეობდა საბჭოთა კავშირიც. მათ არც კეთილი სურვილი აკლდათ და არც იმის შეგნება, რომ მსოფლიო დიდი საფრთხის წინაშე სდგას, მაგრამ საკითხი მაინც ვერ გადასჭრეს, საერთო ენა ვერ გამონახეს და ეს იმიტომ, რომ ქვეყნის დღევანდელ მართველებში ვიწრო ნაციონალიზმი და ეგოიზმი უფრო ძლიერია, ვინემ მთელი კაცობრიობის ინტერესების შეგნება და გაგება. ყველა კითხვას სვამს მსოფლიო ბაზრის განაწილების შესახებ და ცდილობს რაც შეიძლება იქიდან მეტი წაგლიჯოს. ამას ისინი მოგვარებას ეძახიან. მეორეს მხრით მსოფლიო ბაზრის მოგვარება კი, შეუძლებელია მსოფლიო მეურნეობის მოუწესრიგებლათ. ამ უკანასკნელს ყველა სახელმწიფო გაურბის ჯერჯერობით.

არსებულიდან გამოსავალი გზების ძებნა მაინც გრძელდება. კრიზისებმა რწმენა დაუკარგეს კაპიტალისტური სისტემის გუშინდელ უკრიტიკოთ დამცველთაც. ტექნიკურ ინტელიგენციამაც კი, რომელიც გუშინ იმედიანათ შეეყურებდა არსებულ სამეურნეო სისტემას და მის ყავარჯენს წარმოადგენდა, დღეს უნდობლობით დაუწყო მას ყურება და იმუშავებს მეურნეობის ახალ-ახალ პროექტებს.

შეიძლება ითქვას, რომ არცერთი მათგანი გამოსავალს არ იძლევა. ავტარკიის გზით კაპიტალისტური მეურნეობა თავს ვერ გადაირჩენს. ნაციონალურ ფარგლებში სახალხო მეურნეობის ჩაკეტვა ისეთივე სიბრიყვეა, როგორც ერთ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარება.

ზოგი დღეს დიდ იმედებს ამყარებს რუზველტის ცდებზე. ბევრი რამ არც ამ ცდიდან გამოვა, რადგან სინამდვილეში იგიც ავტარკიის გზით მიდის. რუზველტიც ფიქრობს შეერთებული შტატები დამოუკიდებლათ სხვა ქვეყნებისა, გამოიყვანოს საკუთარი გზით კრიზისიდან. ეს ასე არ მოხდება. ის ვერც ამერიკის მეურნეობას იხსნის და მსოფლიო მეურნეობის კრიზისს კიდევ უფრო გაამწვავებს, ამის ნიშნები უკვე არის.

მოკლეთ რომ ვსთქვათ მსოფლიო მეურნეობა და მსოფლიო კრედიტი, ასე აწეწილი არასოდეს არ ყოფილა. რას მოგვცემს იგი შედეგათ?

მარქსი ასეთი დროის შესახებ ამბობდა:

«საზოგადო და კერძო კრედიტი წარმოადგენს იმ ეკონომიურ ბაროომეტრს, რომლითაც შეიძლება გაიზომოს რევოლუციის ინტესივობა. იმდენათ, რამდენათაც ეცემა კრედიტი, იზრდება რევოლუციის ცეცხლი და შემოქმედებითი ძალა».

ედ. ბერნშტეინი არ ეთანხმებოდა ამაში მარქს და სწერდა: «მეტათ საეჭვოა, რომ საერთოთ ეკონომიური ქაოსი ქმნიდეს კარგ პირობებს ახალი ცხოველმყოფელი ორგანიზმების შესაქმნელათ. მით უმეტეს ითქმის ეს თანამედროვე, მეტათ რთულ საზოგადოების შესახებ. მუშები შეიძლება იყვენ დაინტერესებულნი დროებით შეაჩერონ წარმოების ბორბალი, მაგრამ მათ ინტერესს სრულებითაც არ შეადგენს ის, რომ წარმოების ბორბლები ჟანგმა შეჭამოს».

ბერნშტეინი არ გამართლდა. შეკავშირებული და შეგნებული მუშათა კლასი ასე უყურებდა დღემდის საკითხს. ის შეეცადა «წარმოების ბორბლის დაუჟანგავათ» გადაეკეთებია თანამედროვე საზოგადოება და გადაეყვანა კაცობრიობა სამშვიდობოზე. ეს მისი პირველი ცდა დამარცხდა, საზოგადოება ამ სიმაღლეზე არ აღმოჩდა და იგი ისევ ქაოსისკენ მიექანება. ამ ჟამათ ქვეყნის ბედს სწყვეტენ არა მუშები, არამედ სხვანი. ამიტომ მარქსის შეხედულება რჩება ძალაში. რევოლუციები და ომები, აი მომავალი 30 წლის ისტორიის, თუ მეტის არა, პერსპექტივები და შინაარსი.

ეკონომიურ ავტარკიისა, პოლიტიკურ ფაშიზმს და ერთ ქვეყანაში სოციალიზმს აქეთ მივყევართ. ის უეჭველათ მოინდომებს დახლართული კვანძის იარაღით გაჭრას.

თუ როგორ გამოვა კაცობრიობა აქედან, ამის წინასწარმეტყველობა ძნელია. ბევრი სერიოზულათ ფიქრობს, რომ თანამედროვე კულტურა მომავალ ომს გადაყვება. სამხედრო სპეციალისტები ამ მხრით მეტათ შემაძრწუნებელ პერსპექტივებს გვიხატავენ.

არც რევოლუციები იქნება «კულტურული» და «უსისხლო»... გერმანიის მუშათა კლასის «ევროპიული მეთოდი» თანამედროვე საზოგადოებამ უარყო. იგი შესაფერისათ ვერ დაიფასა. ამიტომ მოსალოდნელია, რომ მომავალი კლასთა ბრძოლა იწარმოებს სასტიკს ფორმებში.

მიუხედავათ ასეთი ცუდი ნიშნებისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ თანამედროვე კულტურას აქვს ისეთი სიმაგრეები, რომლის დანგრევასაც ვანდალიზმი ვერ შესძლებს.

— წიგნს სწვავენ, მაგრამ მაინც წიგნი გაიმარჯვებსო, სთქვა ინგლისელმა ცნობილმა მწერალმა უჰელსმა.

კაჟი.

ქართული უკლონიზმი

კომუნისტურ პარტიის ყრილობათა ანგარიშებსა და პრესაში ხშირად იხსენიება ეს სიტყვა «უკლონიზმი». ამ ტერმინის მთავარი შინაარსია პარტიული ხაზის გადახვევა, გადახრა, მაგრამ ამ გადახრის ბუნება ყოველთვის ერთნაირი არ არის და ამის გამო ხშირად სწერენ მემარჯვენე, მემარცხენე, ნაციონალურ და სხ. უკლონზე. კერძოდ ნაციონალურ «უკლონიზმის» შესახებ ხშირად იხსენიება უკრაინული, ბელორუსული, თურქესტან. და სხ. «უკლონი». ხოლო ქართულ უკლონიზმის შესახებ არა გვესმის კარგა ხანია და ეს მით უფროა გასაოცარი, რომ უკლონიზმის სამშობლო სწორედ საქართველოა თუ არ ვცდებით, ეს ტერმინი პირველად იქმნა ხმარებული ქართულ კომპარტიის იმ «გადახრის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 1921-22 წლებში. თუ ეს ასე არ არის და ეს სიტყვა წინეთაც იყო ხმარებული კომუნისტურ პარტიაში, ოფიციალური კურთხევა და ცნობა, ყოველს შემთხვევაში, მან მიიღო იმ დავის დროს, რომელიც აღმოცენდა იმ ხანად მოსკოვის და თბილისის კომუნისტთა რიგებში.

ამავე წლის 22 თებერვალს თბილისში გაკეთებულ მოხსენებაში მამია ორახელაშვილი ასე ახასიათებს ქართულ უკლონიზმს (იხ. «სამშობლო» № 12):

«ლენინის რუსეთი მოცვეხმარა საქართველოში ბურჟუაზიულ ძალაუფლების ჩამოგდებაში და მისივე დახმარებით ახლა გამთელებული ამიერ კავკასია დაადგა თავის აღორძინების გზას... მაგრამ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ პარტიის, განსაკუთრებით მის ქართულ ნაწილიდან გამოსული «ნაციონალ-უკლონისტების» ჯგუფი, ყოველ მხრივ აჩერებდა საბჭოთა ამიერ-კავკასიის სრულ გაერთიანების საქმეს. 1921 წელს ჩვენ მხოლოდ შევძელით ამიერ-კავკასიის რკინის-გზების გაერთიანება და «ვნეშტორგის» დაწესება. ჩვენ მიერ არჩეული ფედერაციის გზა ეთანხმებოდა ლენინის სურვილს. 28 დეკემბერს 1921 წ. ლენინმა გაუგზავნა სტალინს პროექტი ამიერ-კავკასიის ფედერაციისა, სადაც იგი ამბობდა: 1) ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსება ჩაითვალოს პრინციპიალურად და აბსოლუტურად სწორ პოზიციად და განხორციელებულ იქმნას; 2) მიეცეს წინადადება ცენტ. კომიტეტს საქართველოსი, აზერბაიჯანისა და სომხეთისა—გაატარონ ეს გადაწყვეტილება ცხოვრებაში».

ამხ. სტალინმა მოსთხოვა ლენინს ამ გარდაწყვეტილების ადგილობრივად მიღებისათვის ორი-სამი თვის ვადა. ლენინმა უპასუხა: ვიღებ ამ თქვენს შესწორებას. 1921 წლის ბოლოს ამიერ კავკასიის ფედერაციის პროექტი ერთხმად მიღებული იყო პოლიტბიუროში: ლენინის, ტროცკის, კამენევის, მოლოტოვის და სტალინის ხმებით. ამავე ხნიდან ქართველ კომუნისტების ჯგუფმა, ბუდუ მდივნის მეთაურობით, დაიწყო ბრძოლა ც. კ. დირექტივას ფედერაციაზე. მაგრამ მიუხედავად ქართულ «ნაციონალ-უკლონისტების» ცხარე წინააღმდეგობისა ჩვენ მაინც გავატარეთ ფედერაციის პროექტი ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში, პროფკავშირებში, კომსომოლში და მშრომელთა მასებში. ამის შემდეგ «ნაციონალ უკლონისტების» ბრძოლა იღებს უფრო აგრესულ ხასიათს. იწყება სისტემატური იერიშები «ზაკფედერაციის» ცენტრალურ ორგანოების ძალაუფლების შერყევის მიმართ. ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის კარნახით ქართველი «უკლონისტები» აცხადებენ, რომ «ცოცხალ ორგანიზმებად ითვლებიან მხოლოდ რესპუბლიკები და «ზაკფედერაციის» ცენტრალური ორგანო კი არის მხოლოდ შემათანხმებელი დაწესებულება, მოკლებული «იმპერიუმს» ე. ი. ამიერ კავკასიის ფედერაცია მათ მიერ ცხადდება როგორც «ვივესკა» და წინ წაყენებული იყვნენ ცალკე რესპუბლიკები თავის «დამოუკიდებლობის უფლებათა» ატრიბუტებით. თუმცა, იმავე დროს, «უკლონისტები» ფორმალურად არ უარყოფდენ რ. ს. ფ. რ-თან შორეულ კავშირის დაჭერის საჭიროებას.

რა ასაზრდოებდა საზოგადოთ «ნაციონალ-უკლონიზმს» კომპარტიის რიგებში? იგი გაიზარდა «ნეპის» საფუძველზე. კერძოთ ქართული «უკლონიზმი» კი დაიბადა იმ ტენდენციებიდან, რომლის მიზანია დაუმკვიდროს «ქართველ ერს», ამიერ-კავკასიის ხალხებს შორის, პრივილეგიური მდგომარეობა თბილისისა და ბათომის, ამ მნიშვნელოვან პუნქტების, მისთვის დასაკუთრებით.

ამ ორ დიდ კვანძთა და უფლებით ქართულ «უკლონისტებს» უჩნდებოდათ მრავალი შესაძლებლობანი განვითარებინათ თავისი პრივილეგიები აზერბაიჯანისა და სომხეთის ხარჯზე.

მოვიგონოთ ახლა «უკლონისტების» პრაქტიკის მაგალითები: ვის არ ახსოვს მათი დეკრეტი თბილისის გაწმენდის შესახებ, რომელიც უნდა თავშივე სომხების განდევნას შესდგომოდა; ან გავიხსენოთ სტალინის თქმით ის «მხეცური დეკრეტი», რომლის ძალით საქართველო უკეტავდა თავის საზღვრებს დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებს? ან ის დეკრეტი, რომელიც ართმევდა ქვეშევრდომობის უფლებას ქართველ ქალს გათხოვილს უცხოელზე! ან ფაქტი ბათომის ნავთის რეზერვუარების დენაციონალიზაცია და მათი გადაცემა საკონცესიოდ საბჭოთა ქვეყნების დაუძინებელ მტრისათვის როგორც «სტანდარტ ოილის» კონცერნი» ან როგორ მოგწონთ მათი ეკონომიური ორიენტაცია დასავლეთზე, იმის მომიზეზებით, რომ «სტამბოლში უფრო იაფი საქონელიაო»? უნდა აქვე გავიხსენოთ «უკლონისტების» გაალმასებული წინააღმდეგობა ბოლშევიკურ აგრარულ პროგრამის გატარებისათვის... მათი ცხარე ცდები ქართული წითელი ჯარის დაარსებისათვის (პირველ ხანში არა ნაკლებ 40.000-სა) და დაკავშირებული საერთო წითელ არმიასთან მხოლოდ სამხედრო ოპერატიულ მოქმედებაში და სხვა და სხვა...

«ნაციონალ უკლონიზმის» სახით ჩვენ თავს გვე-

ვლინებოდა საბჭოთა ფრონტის დასუსტების საფრთხე და აგრეთვე ბურჟუაზულ წესწყობილების რესტავრაციის შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ ამხ. სერგო ორჯონიკიძის თაოსნობით ქართულ «ნაციონალ-უკლონიზმზე» გამანადგურებელი იერიში მიიტანა. ამას მოჰყვა ბოლშევიკურ ხაზის გამარჯვება და 1922 წელს ჩვენ დავაარსეთ ამიერ-კავკასიის სოციალისტურ-ფედერატული საბჭოთა რესპუბლიკა. ფედერატულ კავშირის ნაცვლად აღმოცენდა მთლიანი ფედერატული რესპუბლიკა. ეს იყო მთავარი მიღწევა ბოლშევიკურ პარტიისა ამიერ-კავკასიაში.

მაგრამ რეციდივები «უკლონიზმისა» მაინც მეორდებოდნენ—საქართველოშიც და აზერბაიჯანშიც. ბრაზმორევული იერიში ამიერ-კავკასიის ფედერაციაზე მოიტანა ახლა გაერთიანებულმა ოპოზიციამ ტროცკი-ზინოვიევისამ. მემარცხენე ოპოზიციამ შეჰკრა კავშირი მემარჯვენე ქართველ «უკლონისტებთან» და ერთად კვლავ ნიშანში ამოიღეს «ზაკფედერაციის» ორგანიზაცია. «საბჭოთა ცენტრალიზაციამ, დაყრდნობილმა დიდმყრობელობის შოვინიზმზე, გააფუჭა დამოკიდებულება ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორისო», გაიძახოდენ ჩვენი მოიერიშენი. მაგრამ ვერც ამ იერიშებმა ვერაფერი დააკლეს «ზაკფედერაციის» ციხე-სიმაგრეებს და ოპოზიციონერები დამარცხდნენ.»

ქართული უკლონიზმის ასეთი დახასიათება, რასაკვირველია, ცალმხრივია. მამია ორახელაშვილი ივიწყებს იმ გარემოებას, რომ ქართველი კომუნისტების ეს მაშინდელი უკლონი, მართალია, დასცილდა მოსკოვის ხაზს, მაგრამ ის არ დასცილებია საბჭოთა კონსტიტუციას. ქართველი კომუნისტების ცდა, რომ საქართველოს რესპუბლიკას შერჩენოდა თავისი საზღვრები, რომ მას ჰყოლოდა თავისი ტერიტორიალური წითელი ჯარი, რომ მას შეენარჩუნებია საქართველოს ქვეშევრდომთა გარჩევა გარეშეთაგან და უფლება თავის საშინაო და საგარეო ეკონომიური პოლიტიკისა საბჭოთა რესპუბლიკის საერთო სისტემის ფარგლებში, სრულიად არ ეწინააღმდეგებოდა იმ კონსტიტუციას, რომელიც იმ ხანად არსებობდა საბჭოთა ფედერაციაში.

ამ უკლონიზმის ეკონომიური პოლიტიკაც აგრეთვე ბუნებრივად გამომდინარეობდა იმ «ნეპიდან», რომელიც იმ ხანად მყარდებოდა მთელი ფედერაციის სივრცეზე. კიდევ უფრო ბუნებრივად გამომდინარეობდა ეს ქართული უკლონისტური პოლიტიკა იმ დირექტივებიდან, რომელიც გამოუგზავნა ლენინმა ქართველ კომუნისტებს საქართველოს დაპყრობის შემდეგ. ამ დირექტივებში ლენინი რჩევას იძლეოდა, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში უფრო ზომიერი და მშვიდობიანი პოლიტიკა ყოფილიყო დამყარებული, ვიდრე ეს იყო რუსეთში.

მოსკოვის კომუნისტებმა ყოველივე ეს დაივიწყეს. რაკამს საბჭოთა ძალაუფლება დამკვიდრდა საქართველოში, მოწინააღმდეგე ძალები დათრგუნვილ იქმნენ და განსაკუთრებული წითელი არმია, რომელმაც დაიპყრო საქართველო, მდგომარეობის სრული ბატონი გახდა. საქართველოს დაკარგვის შიში აღარ იყო და მოსკოვმა აღარ მიიჩნია საჭიროდ ქართველი ხალხის მიმართ წინეთ ნაკარნახები ზომიერი და მორიდებული პოლიტიკის გაგრძელება. მოსკოვმა ბრძოლა გამოუცხადა იმ პოლიტიკურ ხაზს, რომელიც მანვე უკარნახა თბილისს 1921 წლის მარტში, ის კომუნისტური პროგრამის გადახრათ და გენერალური გეზის ღალატად გამოაცხადა და მისი მეთაურები ადგილებიდან მოხსნა და საქართველოდანაც გადაასახლა. ამის ნაცვლად დამყარდა საქართველოში განსაკუთრებული არმიის შტაბის პოლიტიკა, რომელიც ისახავდა მიზნად აღმოფხვრას ქართული პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრებიდან ყველა იმ ელემენტებისა, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს დროს იყო დამყარებული და ნაწილობრივ შერჩენილი ქართულ უკლონიზმის ხანაში. ეს უხეში ოპერაცია ნაწილობრივ სჩანს ორახელაშვილის მოხსენებაში, მაგრამ ის უფრო სრულად არის გადაცემული იმ მოხსენებაში, რომელიც ფილიპე მახარაძემ გაუგზავნა პარტიის ცეკას 1922 წლის დამლევს.

ამის შემდეგ 11 წელი გავიდა. საბჭოთა ყველა რესპუბლიკების სივრცეზე დამყარებულია სრულიად ერთფეროვანი წყობა და სისტემა ცხოვრების ყველა სფეროებში—ეკონომიურსა თუ კულტურულში, სოფლად თუ ქალაქად, სისტემა, რომელიც ასე მძაფრად ეწინააღმდეგება მცხოვრებთა 95%-ის რეალურ ინტერესებს, მათ ზნეს და ხასიათს. ბუნებრივია, რომ ასეთი პოლიტიკა დიდს ფარულ წინააღმდეგობას ხვდება ხალხში და ხშირად ეს წინააღმდეგობა ახდილი ბრძოლის ხასიათს ღებულობს. კომუნისტებიც ხომ ამ ხალხის ნაწილს წარმოსდგენენ და გასაგებია, რომ აქა იქ მათ წრეებშიდაც ჰპოულობს გამოძახილს ამ ყოველგვარ წრეს გადასული კომუნისტური ძალმომრეობის საწინააღმდეგო სულისკვეთება. ამ ნიადაგზე იბადებოდა ნაციონალური უკლონისტური გადახრები საბჭოთა რესპუბლიკებში ამ უკანასკნელ წელთა მანძილზე. და მის გამო მრავალი პასუხისმგებელი კომუნისტები იყვნენ ადგილიდან მოხსნილი და დასჯილი უკრაინაში, ბელოროსიაში და სხვაგან. თვითმკვლელობასაც ჰქონდა ადგილი მათს რიგებში.

ერთად ერთს გამონაკლისს საქართველო წარმოადგენს. აქ თუ აქა-იქ კიდევ ისმოდა უკლონიზმზე, ეს ტროცკის ოპოზიციის გამო, საერთო პარტიულ ხაზის კითხვებზე, მსოფლიო რევოლუციის ამოცანების გარშემო. საქართველოს ჭირ-ვარამი, მისი ქონებრივი და სულიერი ცხოვრების დაქცევა ამ დავის გარეშე რჩება. რით აიხსნება ასეთი ვითარება? ჩვენ არ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ქართველი კომუნისტები უფრო სუსტნი არიან თავის ბუნებით, ვიდრე სხვა რესპუბლიკების მათი ამხანაგები, და ამის გამო მათებრ სიმტკიცესაც ვერ იჩენენ ისეთი წესების წინააღმდეგ, რომელიც ყოველგვარ საზღვარგადასულ უხეშობით აწევს ხალხის ცხოვრებას. ისიც უდავოა ამავე დროს, რომ ქართველი ერი სხვებთან შედარებით უფრო მტკიცედ ჩამოსხმულია ეროვნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად თავის მრავალ საუკუნოვან სახელმწიფოებრივ არსებობის გამო და მეტის მხნეობითა და თავდადებით იბრძვის თავის ეროვნული მეობის დასაცავად. ამავე დროს ქართველ კომუნისტთა რიგებში თითო ოროლაც არ სჩანს ქართული უფლებების, ქართული კულტურული და ეკონომიური ინტერესების დამცველთა რიგებში, ისეთი უფლებებისა და ინტერესებისა, რომელთა დაცვა შესაძლებელი იყო თვით საბჭოთა კონსტიტუციისა და კომუნისტური მსოფლმხედველობის მიხედვით... ასეთი მოვლენის გასაგებად ჩვენ სხვა მიზეზს ვერ მოვძებნით, თუ არა ერთს: ქართველი კომუნისტები, რასაკვირველია, ქართველებია სისხლით და წარმოშობით, მაგრამ 1921 წელს ისინი მოევლინენ საქართველოს, როგორც უცხო დამპყრობი, მთელს ერს დაპირდაპირებული ძალა. ერმა ისინი ასე მიიმჩნია და თვითონაც ასე მიიჩნიეს თავის თავი. ისინი თავიდანვე ქართული ცხოვრების გარეშე დადგენ, როგორც უცხო ძალისა და უცხო პოლიტიკის მატარებელნი. პირველი წლის უკლონიზმი ეს მეტად სუსტი ცდა იყო მათის მხრივ ქართულ ცხოვრებაში ჩაბმისა და მისი ჭირ ვარამის მონაწილედ გახდომისა. ეს ცდა რამოდენიმე პიროვნებას არ გასცდენია და ისიც მალე მოისპო. ამის შემდეგ თორმეტი წელი გადის და ეს ორი ბანაკი,— საქართველო და კომუნისტური პარტია, ისევე დაშორებული რჩებიან ერთმანეთს, როგორც ეს იყო 1921 წლის თებერვალ-მარტში.

ალ. ასათიანი.

ხარბინის ქართველობა

(გამგეობის წლიური მოხსენება ხარბინის ქართველთა საზოგადოების კრებაზე 18 ივნისს 1933 წ. *)

ბატონებო! გამგეობა, როგორც მოგეხსენებათ, შეუდგა თავისი საზოგადოებრივი თანამდებობის ასრულებას გასულ წელს, 12 ივნისიდან, და დღეს, 18 ივნისს, ცდილობს, შეძლებისა და გვარად, სრული ანგარიში წარმოადგინოს თქვენს წინაშე თავისი წლიური მოღვაწეობის, და არა თუ მარტო თქვენდა საყურადღებოთ, არამედ სამართლიან გასასჯელათ ყოველივე ნამოქმედარისა და მომავალი წლის გეგმისა, რომელიც, დასასრულ ამისა, მოგხსენდებათ.

თავიდანვე შეგვიძლია აღვიაროთ საერთოდ ის სასიამოვნო დასკვნა, რომ შარშანდელი გეგმა, შემუშავებული საზოგადო კრების მიერ, თავისუფლად გატარდა ხარჯთ-აღრიცხვის მიერ დახაზულ ფარგლებში, შემოსავალი კი რამდენითმე აღემატება შარშანდელს; დანარჩენი მხრივ გეგმა შეიცვალა და ძლიერ გაფართოვდა სხვადასხვა აუცილებელი ცხოვრების მოთხოვნილებებისა გამო. მართალია გეგმის ასრულება მიმდინარეობდა სხვადასხვა გზით, მაგრამ ცალკე დარგები მჭიდროთ იყვნენ ერთმანეთთან შეთანხმებულნი: კულტურული, ნაციონალურ-პოლიტიკური, ფინანსიურ-ქონებრივი, საზოგადოებრივ-ზნეობრივი და სხვ.

კულტურულ დარგში, რასაკვირველია, უმთავრესი ყურადღება მიექცა ჩვენი ქართული სკოლის მდგომარეობას და მის გაუმჯობესობას. საერთოდ წინათაც ბევრი სჯა-ბაასი იმართებოდა ამ საგანზე დიდი ხნის მანძილზე, როგორც ცალკე დედ-მამის ჯგუფებში, ისე საზოგადოების წრეში, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს უკანასკნელათ დედა-ენის შესწავლა, მაგრამ სამწუხაროდ ვერაფერი საშვალება გამოვიგონეთ და ვერაფერი ცვლილება შევიტანეთ საქმეში.

ბავშები ჩაბმული იყვნენ სხვადასხვა უცხო სკოლებში საერთო განათლების მისაღებათ და დროს უქონლობისა გამო ვერ ახერხებდენ ფიზიკურათ დედა-ენის გულმოდგინეთ შესწავლას და რასაკვირველია, მხოლოდ კვირაობითი მეცადინეობა მათ სარგებლობას ვერ მოუტანდა: ერთი კვირის განმავლობაში ბავშებს ავიწყდებოდათ ის, რასაც მასწავლებელი წინათ ჩააგონებდა. ამ თვალსაზრისით გამგეობამ შემოიღო ქართული ენის სწავლება ყოველდღიურათ საზაფხულო დროს, როდესაც ბავშები თავისუფლდებიან უცხო სკოლებიდან და ამასთანავე ერთად, ბავშების მისაზიდველად, გასართობ-სავარჯიშო მოედანიც შექმნა. ამ რიგად, ადვილად მოეწყო ყოველ-დღიურათ ქართული ენის სწავლება და ისიც ორნაირათ და ორი მასწავლებლის ხელმძღვანელობით: შიგ შენობაში თეორულად სწავლა სამშობლო ენის, ისტორიის და გეოგრაფიის, გარეთ ეზოში კი გასართობ მოედანზე იმავე ენის პრაქტიკულათ შესწავლა. ჩვენდა სამწუხაროდ, ამრიგად დალაგებულმა საქმემ შარშან გასტანა მხოლოდ ერთი თვე: დიდწყლიანობამ შეგვიწყვიტა ეს ჩვენი კულტურული მისწრაფება; მაგრამ წელს ეს სწავლის გეგმა, მოწონებული დედ-მამების და ბავშების მიერ, ჯერჯერობით დაუბრკოლებლივ სრულდება. საზაფხულო სკოლა-მოედანს საზამთროთ რომ მოჰყვეს ძველებურათ კვირაობით მეცადინეობა—ეს უკვე ნორმალურად უნდა ჩაითვალოს ენის შესწავლისთვის. მაგალითად, სასწავლებელში ჩვეულებრივ საგნის შესწავლას თითო საათი რომ მოვანდომოთ ყოველ-დღე—წლიურათ გამოვა 200 გაკვეთილი; ჩვენ გვაქვს ორ-ორი საათი დღეში ზაფხულობით—ე. ი. 180 გაკვეთილი და კვირაობით ზამთარში ორ-ორი საათი—

*) ეს მოხსენება მხოლოდ ეხლა მოგვივიდა და ვსტამბავთ, რადგან ის არის ფრიად საინტერესო და საყურადღებო სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებისათვის. ხარბინელ ქართველთა საზოგადოების კრებას ეს მოხსენება მოუწონებია და მასთანავე მხურვალე მისალმება გამოუცხადებია ეროვნულ მთავრობისათვის. საზოგადოებას იგივე გამგეობა აურჩევია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ექიმი ნ. ჯიშკარიანი, თავმჯდომარის ამხანაგი ინჟენერი მაჩოშვილი, წევრ. პოლკოვნიკი კ. მახვილაძე, მ. ღლონტი და ბ. რობაქიძე.

24—სულ 204 გაკვეთილი; მაგრამ გამგეობა ამით არ კმაყოფილდება: ორ ადგილობრივ სასწავლებელში, კომერციულსა და პუშკინის გიმნაზიაში, სადაც ეხლა ხანს 20 ქართველი ბავშვი ირიცხება, თანხმობა გამოგვიცხადეს, თუ კი ჩვენ მასწავლებელს მივაწვდით, ქართული ენის სწავლა სავალდებულო გახადონ ჩვენი ბავშვებისთვის. რასაკვირველია მშობლები ამ გარემოებას მხარს დაუჭერენ და კრებაც შესაფერ ხარჯს დაადასტურებს.

ჩვენი ძირითადი და უპირველესი მოვალეობაა სამშობლოს წინაშე ახალგაზდობის სწავლა-განათლება ნაციონალურ კულტურულ ნიადაგზე და ამისათვის უსათუოდ დედა-ენის შესწავლა პირველ რიგში უნდა დავაყენოთ და ყოველგვარი ნივთიერი დახმარება უნდა გაუწიოთ მას. ურთიერთ შორის ნივთიერ დახმარების ხანას თანდათან წამოეწია კულტურულ ზნეობრივი დახმარების ხანაც და ეხლა, როგორც ეკუთვნის მას, უკვე პირველი ადგილი დაიჭირა ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში: სამშობლო ენის და კულტურის შესწავლას ჩვენს წლიურ ხარჯთ-აღრიცხვაში უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს. ერთი და იგივე ქართული ენის მასწავლებელი გაატარებს საჭირო გაკვეთილების რიცხვს და 60 დოლარი თვეში რომ დაენიშნოს, საკმაო იქნება.

შემდეგ ნაბიჯათ ამავე დარგში უნდა ჩაითვალოს ჩვენი ახალხაზდობის აგებულობითი, ფიზიკური და ზნეობრივი გაუმჯობესობა: ამ მიზნით საზოგადოებრივი ეზო სათანადოთ ეწყობა, იტკეპნება და მართალია ბევრი ფული დასჭირდა, მაგრამ სამაგიეროთ ძალიან სავარგისო გამოდგება როგორც საზაფხულო ისე საზამთრო სპორტული ვარჯიშობისათვის; ამასთანავე ადვილად შესაძლოა ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა, თუ მოვისურვებთ, კარგი შემოსავალიც მოგვიტანოს.

საერთოდ გამგეობამ დიდი ყურადღება მიაქცია ახალგაზდების და წევრების კულტურულ განვითარებას; კულტურულმა წრემ გამგეობის თაოსნობით, შეიმუშავა მთელი გეგმა მოხსენებებისა, რეფერატებისა საქართველოს ისტორიიდან, პოეზიიდან და ნაწილობრივ კიდევაც შეასრულა ის წლის განმავლობაში. დაიჭირა მჭიდრო კავშირი «პრომეთეს» კლუბთან, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს გარდა, მონაწილეობას ღებულობენ: პოლონელები, უკრაინელები, თათრები, ადერბეიჯანელები და მთიელები.

«პრომეთე»-ს კლუბი ცდილობს მჭიდროთ შეუკავშიროს ერთმანეთს კულტურული ჯაჭვებით ეროვნული უმცირესობანი და ძმური ერთობა და განწყობილება დაამყაროს მათში; თუ რა სასიამოვნო ნაყოფი მოიტანა ამგვარმა თანამშრომლობამ თქვენ ალბათ კარგად დაინახეთ მთელი წლის განმავლობაში, როდესაც ეს ჩვენი მეზობლები და მეგობრები არასოდეს არ გვშორდებოდენ ქართველებს არც ლხინში და არც ჭირში. ჩვენც რასაკვირველია ეს გარემოება მიგვაჩნია დიდმნიშვნელოვნად ნაციონალურ-პოლიტიკურ თვალსაზრისით და სიხარულით ვექომაგებით იმ ერებს, რომელნიც ჩვენნაირ მდგომარეობაში იმყოფებიან და წრფელი გულით სურთ დახმარება გაგვიწიონ შესაფერ შემთხვევაში არა თუ სიტყვით მარტო, არამედ საქმითაც.

გამგეობის მოწოდებით ქალთა წრემაც განაახლა თავის საზოგადო მოღვაწეობა: იგი ცდილობს სხვადასხვა საშუალებების ძალით ჩვენი ქალები საზოგადოების აქტიურ წევრებად გახადოს. ყველა წევრი საერთოთ ერთმანეთს შეუკავშიროს და მართლად შექმნას ქართველებისგან ერთი ნაციონალური ოჯახი. ქართული საღამოების გამართვა, ნაციონალურ დღესასწაულების—დღეობების სათანადოთ მოწყობა, საზოგადო სახლში მასპინძლობა ზოგიერთ შემთხვევებში, საბავშვო მოედნის მოვლა, ყოველივე ეს ევალება ქალთა წრეს და ჩვენ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ის მშვენივრათ და ენერგიულათ ასრულებს თავის კულტურულ მოვალეობას. ქართა წრის ინიციატივით უკვე გადაწყვეტილია პიანინოს შეძენა და მუსიკა-გალობის შესწავლა. სამკერვალო სკოლის მოწყობა. ყოველივე ეს შემუშავებულია და ახლო მომავალში აუცილებლათ ასრულდება.

რაც შეეხება ნაციონალურ-პოლიტიკურ ნიადაგზე მუშაობას, საჭიროთ ვსცნობთ ნათლად გამოვარკვიოთ, რადგანაც ჩვენში ურევია რამდენიმე მოწინაამდეგე პირი, რომელნიც ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, გამგეობას აუკრძალონ საერთოთ პოლიტიკური აზროვნობა და მსჯელობა. ამის თაობაზე ჩვენ მოვიყვანთ რამდენსამე უდავო დებულებას:

1) საერთოდ ჩვენ არ შეგვიძლია პოლიტიკას არ შევეხოთ, თუ კი გვსურს, რომ ერის შვილებად ვითვლებოდეთ და ვიცავდეთ ჩვენს ნაციას ყოველნაირი შინაური და გარეშე მტრებისაგან. ჩვენ რომ საქართველოს თაობაზე ვწერთ და ვლაპარაკობთ, უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ მისი მტარვალი მტრები, რომელთაც უსამართლოთ დაარბიეს იგი, და თუ რომელიმე ქართველი უშლის ამას ხელს, ის თავისი კერძო ინტერესებით არის გამსჭვალული, ანუ კომუნისტური აზროვნებით.

2) ჩვენ თუ გარკვეული პოლიტიკური მიმართულება არ ვიქონიეთ, როგორც ნაციონალურმა საზოგადოებამ ამ რთულ და აღშფოთებულ გარემოებაში, რომელშიდაც ჩვენ ვცხოვრობთ, რა უნდა იფიქრონ იმ საზოგადოებაზე, რომელიც თავის აზროვნების შეხედულობას ფარავს და არ აქვეყნებს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ან კომუნისტურათ ვაზროვნობთ, ან შეურიგდით ოკუპანტების თარეშობას ჩვენს სამშობლოში.

აქ, მანჯურიაში იმისთანა არეული პოლიტიკური მდგომარეობა სუფევს, იმისთანა ეჭვიანი თვალით უცქერიან ეხლა ხანს ყოველ «მემარცხენე» აზროვნებას, როდესაც ჩვენ დიდი მანძილით დაშორებული ვართ ჩვენ კანონიერ მთავრობასთან. ამ დროს გამგეობას არ შეუძლია პოლიტიკურ მოვლენებზე ხმა არ ამოიღოს, თუ სურს თავის წმინდა მოვალეობა სამშობლოს წინაშე აასრულოს.

აი ამიტომაც გამგეობამ, აუცილებელი მოთხოვნილებისა გამო, უმთავრესი ყურადღება მიაქცია პოლიტიკურ მდგომარეობას, უცხო ხალხთან შეკავ-

შირებას,—ეს კი შესაძლო იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ საქვეყნოდ დავანახვიდით ჩვენს ნაციონალურ მთლიანობას და გარკვეულს პოლიტიკურს სახეს. ამ გზით და საშუალებით მოხდა ჩვენი ძმური დაახლოვება ეროვნულ უმცირესობებთან «პრომეთეს კლუბში. იაპონლების გაზეთში «ხარბინის ვრემია»-ში მთელი გაზეთის გვერდზე საშუალება გვქონდა გვებრძოლა ჩვენს მტრებთან ნაციონალურ კითხვების დაცვაში და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ამბებიც მოგვეთავსებინა წევრების საყურადღებოთ. როგორც მოგეხსენებათ, არა თუ უცხოელებმა, არამედ ქართველებმაც მხოლოდ ამ გაზეთის საშუალებით შეიგნეს სრულიად სამშობლოს შინაური და გარეშე ნამდვილი პოლიტიკური მდგომარეობა. ამასთანავე ერთად, ადგილობრივი პოლონური და უკრაინული გაზეთები ხშირად და მეგობრულათ აშუქებენ ჩვენს საზოგადოებრივს და ნაციონალურს საკითხებს. უკანასკნელ დროს ქართული გაზეთიც გამოდის ყოველთვიურათ პოლონელების ჟურნალთან; რასაკვირველია, ყველა ეს გაზეთები აქ იკითხება, საზღვარ გარეთაც მიდის და უეჭველია იქ, როგორც უცხოელები, ისე ჩვენი გადმოხვწილნი მოძმენი, ეცნობებიან ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებას, ჩვენს სულისკვეთებას, მისწრაფებას, ნაციონალურ ერთობას და გაიხარებენ, რომ ჩვენი ცხოვრება აქ, შორეულ აღმოსავლეთში, მიმდინარეობს თვალსაჩინოთ, ნაციონალურ ფარგლებში და, სხვათა შორის, არა უკანასკნელ კულტურულ საფეხურზე სდგას. რასაკვირველია ამგვარ ხანაში შეცდომებიც ხდებოდა, მაგრამ ამ შეცდომებს არავითარი თვალსაჩინო ზიანი არ მოუტანია არც სამშობლოსთვის, არც საზოგადოებისთვის.

გამოვიწერეთ პარიზიდან სხვადასხვა მიმართულების გაზეთები: «დამოუკიდებელი საქართველო» 15, «გუშაგი» 5, «თეთრი გიორგი» 5, «კავკასიონი» და ქართული წიგნები, რასაკვირველია, ამ რიცხვში არ ითვლება ის გაზეთები, რომლებს თვით წევრები იწერენ, მაგრამ მათი რიცხვი, სამწუხაროთ, ძალიან მცირეა და ამ გარემოებას კრებამ უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება და შესაფერი მოწოდება უნდა გაუკეთოს წევრებს: მართლადაც ქართული გაზეთები ჩვენ კულტურულ თვითგანვითარებას ხელს უწყობენ, ნაციონალურ ნიადაგზე ყველას გვაერთიანებენ, სამაგიეროთ გაზეთების თანამშრომლებს ჩვენ მატერიალური დახმარება უნდა ვაძლიოთ. ეხლა ხან, ჩვენ მიერ დაფუძნებულ საერთო წიგნთსაცავში, ცალკე ქართულ წიგნთა უჯრა დავდგით, სადაც 400 ქართულ წიგნებს მოუყარეთ თავი. რადგანაც ეს წიგნები ეკუთვნოდა მიცვალებულ ნ. ჯიშკარიანს, ხსენებული უჯრა უნდა დარჩეს მის სამახსოვროთ. ძალიან სასიხარულო იქნება, რომ ამ წიგნების რიცხვი გამრავლდებოდეს შემოწირულებით, რადგანაც თითქმის ყოველ ქართულ ოჯახში მოინახება ძველი წიგნი, რამოდენიმეჯერ წაკითხული.

ამასთანავე დიდათ სასურველია, რომ დაბრუნდეს წიგნთსაცავში ის ქართული წიგნები, რომელნიც წინა წლებში იყო წაღებული,—აქაც საჭიროა კრების ადგენილება და მოწოდება.

ეხლა ჩვენ გადავდივართ ქართველების უფლებრივ მდგომარეობაზე მანჯუ-გო-ში. ამ საკითხის გამოკვლევას ჩვენ შეუდექით ძველი გამგეობის ინიციატივით. როდესაც აქ იაპონლების შემოსვლისთანავე, ახალი სახელმწიფოს მთავრობა გამოცხადდა, დიდი არეულობა მოხდა, ადამიანების გატაცება, ხუნხუზობა, სამხედრო ბრძოლა ქალაქის გარშემო, თეთრი და წითელი რუსობის გაუგებარი და სახიფათო პოლიტიკა,—ყოველმა ამან გვაიძულა როგორმე თავი დაგვეფარა ამ რთულ პოლიტიკურ მომენტში. ძველი ადმინისტრაციის განკარგულებით, რომელიც როგორც მოგეხსენებათ იმყოფებოდა თეთრ-წითელ რუსების ხელქვევით, პასპორტებში რუსებთან აგვრიეს; რასაკვირველია, თავიდანვე ჩვენ მოვინდომეთ ნაციონალურათ რუსებისგან გაცალკევება; თანაც მათ იაპონლები, მიუხედავათ მათი მიმართულებისა, თავის მტრებათ სთვლიან და ეჭვიანი თვალით უყურებენ. ჩვენ შეგვეძლო გამგეობის სახელით გაგვეცა წევრებისთვის, მაგალითად, ნაციონალური მოწმობები, მაგრამ ამას ექნებოდა მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა და არა იურიდიული ძალა, რომელიც აქვს ქართულ პასპორტებს საზღვარ გარეთ. ძველმა გამგეობამ, ჩემი თანხმობით, აღძრა საკითხი ამ საგანზე ბ-ნ ჩხენკელის წინაშე და მისგან შარშან ამ დროს მე მომივიდა მოწერილობა და ნებართვა გამენახლებინა მანჯუ-გო-ში საკონსულოს მუშაობა, წარმომადგენლობის სახით, სანამდის ახალი სახელმწიფო ჩვენ ცნობას დაადასტურებდა. ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელმა ჩემ შეკითხვაზე მიპასუხა, რომ მანჯუ-გოს მთავრობამ კარგად იცის, რომ საქართველო ცნობილია დღემდის უცხოეთში, ჩემზე და საზოგადოთ ქართველებზე იმასაც აქვს წერილი ჩვენი ელჩიდან, მაგრამ, სამწუხაროთ, ახალი მთავრობა ოფიციალურად ჯერჯეროობით უცხოელებს არ უცვნიათ და სამაგიეროთ ისიც არ სცნობს უცხოელების წარმომადგენლებს; ამიტომაც მეც დამრთო ნება მეწარმოებინა არაოფიციალურათ საკონსულო წარმომადგენლობის სახით ისე, როგორც სხვები აწარმოებენ. უცხო წარმომადგენლებს რომ ვაცნობე ჩემს დანიშვნაზე, ბევრი სასიამოვნო წერილი მივიღე ამის თაობაზე. რაც შეეხება ჩვენს ნაციონალურ პასპორტებს—იმათ სცნობენ, მაგრამ ადგილობრივი პასპორტიც საჭიროა ისე, როგორც პატარა ერებისთვის, ლიტოველებისთვის და სხ., ე. ი. იმ ერებისთვის, რომელთაც წინეთ ჩინეთი არ სცნობდა. მაგრამ მანჯუ გოს გარეშე ჩვენ პასპორტებს სცნობენ დაუბრკოლებლივ, იაპონლები კი მუკდენშიდაც და დაირენში, ე. ი. თავის კონცესიურ ტერიტორიაზე, ვიზასაც ადებენ მათზე. ერთი სიტყვით, ჩვენ თითქმის რაც გვინდოდა, იმას მივაღწიეთ. ჩვენ სრულიათ გამოვეყავით რუს ემიგრანტებს ყოველივე მხრივ, ადგილობრივ უცხოელებს კარგათ გავაცანით ჩვენი თავი და კიდევაც გავახსენეთ, არ დაივიწყონ საქართველოს იურიდიული ცნობა, და დარწმუნდნენ ჩვენ მთლიან გამორკვეულ აზროვნებაში ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ ნიადაგზე. ამის გამო ჩვენ უცხოელებიც გვცნობენ და ყოველ შემთხვევაში ანგარიშს გვიწევენ ოფიციალურ

ან არაოფიციალურ გზების საშვალებით. ადგილობრივათ ყველაზე უფრო საინტერესო და სასარგებლოა ჩვენთვის იაპონელებთან კარგი განწყობილების დაჭერა; ამ მხრივ ბევრი რამ კარგი გაკეთდა და ახლო მომავალში კარგს ნაყოფსაც მოველით.

წარსული და მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტიდან სჩანს:

გასულ წელს უნდა შემოსულიყო 390 დოლარი და 2.220 იენი და იგივე შესაფერი ხარჯთაღრიცხვით უნდა გასულიყო.

ფაქტიურათ კი წარსულ წელს შემოვიდა 3.713 დოლარი და 2.078 იენი.

თითქმის აღმატებითი შემოსავალი უდრის 3.146 დოლარს (საღამო და სახლი) ფაქტიურათ გავიდა 5.171-05 დოლარი. მომავალ წელში უნდა შემოვიდეს 2.500 დოლ. და 4.320 იენი, ესე იგი სულ დღევანდელ კურსით 7.900 დოლ. უნდა გავიდეს 5.854 დოლ.

კრება რომ შეუდგება ხარჯთ აღრიცხვის განხილვას დასამტკიცებლათ, მაშინ დაწვრილებით მოხსენდება მთელი პროექტი.

ამის გარდა გამგეობას აქვს დამზადებული რამოდენიმე პროექტი საზოგადოებრივი ფინანსების და კულტურულ საქმიანობის გასაუმჯობესებლად:

ეს გახლავთ ჩვენი დარბაზის გაფართოვება, ნაწილობრივი მიშენება, სახელოსნო შენობის გადაკეთება საცხოვრებელ ბინებათ და ჩვენი ეზოს მოწყობა სასპორტო გასართობებისთვის ზამთრის განმავლობაში. ყველა ეს საკითხები შედის დღიურ წესრიგში და განხილვის დროს ვრცელ მოხსენებას გაკეთებს ინჟინერი ბ-ნი მაჩოშვილი.

რაც შეეხება შარშანდელ კრების დადგენილებებს—ყოველივე შესრულდა წლის განმავლობაში. საზოგადო წიგნთსაცავიდან გამგეობამ მიიღო შესაფერი საბუთი; სადაც აღნიშნულია სწორედ მისი ვალი ჩვენს სახლში ბინაობის დროს. წლის განმავლობაში გამოეცხადა წერილობით განსაკუთრებითი მადლობა: «ბონ აპეტიტს» სადილების შემოწირვაზე, ი. ავეტისიანცს 25 დოლარის შემოწირვისთვის საღამოს გამართვის დროს, გენფერს—ქართველებისთვის საგანგებო წიგნის შემოწირვისთვის, თათოს ტერ აკოპოვს და შახ-ნაზაროვის ქალს ჩვენ საღამოს სასარგებლო მოღვაწეობისთვის.

ახალი წევრების რიცხვი დიდათ გაიზარდა, რადგანაც ქალთა წრეში ითვლება მხოლოდ ნამდვილი საზოგ. წევრი, რომელთაც დადგენილი საწევრო გადასახადი შემოაქვთ. სულ ახალი წევრების რიცხვი უდრის 54. ქალთა წრეს ჰქონდა შემოსავალი თავის არსებობის განმავლობაში, ე. ი. ორ-სამ თვეში: დოლარი 110-80, გასავალი 55—78, ითვლება სალაროში 56—2.

გამგეობის თავმჯდომარე ექიმი ნ. ჯიშკარიანი.

უცხოეთის მიმოხილვა.

ევენევის დრამა.

მოულოდნელი, საბედისწერო რამ მოხდა ევენევაში: გერმანია გავიდა განიარაღების კონფერენციიდან და თვით ერთა ლიგიდან. არავინ ელოდა ასეთ ნაბიჯს, თვით ცნობილი პერტინაქსი განცვიფრდა, რომ ასე ადვილათ შესრულდა მისი ნანატრი დაშლა კონფერენციისა და მით საფრანგეთის სამხედრო ძლიერების განადგურებისაგან გადარჩენა, როგორც ის ირწმუნებოდა.

საფრანგეთმა, ინგლისმა და შეერთებულმა შტატებმა მართლა მიაღწიეს ერთგვარ პრინციპიალურ შეთანხმებას. რაში მდგომარეობდა იგი? თანასწორობა შეიარაღებისა, როგორც საფუძველი, მხოლოდ მისი თანდათანობითი განხორციელება ოთხ საცდელ წელში და ეს ვადაც, ინგლისისა და ამერიკის აზრით, უნდა შემოკლებულიყო. ამ გარდამავალ ხანაში ევროპის ჯარები უნდა გადაეყვანათ მოკლევადიან მილიციურ სისტემაზე და გერმანიის ჯარი უნდა გაორებულიყო რიცხვით, ასი ათასის მაგიერ ორასი ათასი, ვერსალის ზავის მიერ დაშვებულ იარაღის გაორებით. იმავე ზავის მიერ აკრძალულ იარაღის ისევე აკრძალულათ დატოვება, ხოლო სამაგიეროთ საფრანგეთსაც, სხვა სახელმწიფოთაც, არ უნდა მიემატნათ ამ მისახდომ იარაღისათვის, რაც დღეს აქვთ, და მოესპოთ იგი ვადის შემდეგ. საერთაშორისო «ავტომატურ» კონტროლს უნდა დაენახვინებინა ყველასათვის, აღებულ ვადაში, რამდენათ უტყუარი იყო იგი, განსაკუთრებით გერმანიაში, და ამისდა მიხედვით თანასწორობა სიტყვიდან საქმედ ექციათ.

ეს შეთანხმების პირობები ამცნეს გერმანიას, უკანასკნელმა პასუხიც გასცა წერილობითი და ყველა ელოდა გაიმართებოდა ერთგვარი ვაჭრობა... და ამ დროს გერმანია გავიდა! რამ აიძულა ის? ერთნი ამბობენ შინაური გართულებანიო, მეორენი—კონტროლის შიში, უკვე დაწყებულ შეიარაღებას აღმოაჩენსო, მესამენი—ექვს გამარჯვებულ სახელმწიფოების საერთო ფრონტიო. ყოველ შემთხვევაში, კანცლერი ჰიტლერი და მისი მინისტრები საჯაროთ ირწმუნებიან, რომ ისინი ომის წინააღმდეგნი არიან, მზათ არიან უკანასკნელ სალდათამდე და ტყვიისფრქვეველამდე მოსპონ შეიარაღება, ოღონდ უთანასწორობა გაჰქრეს, მიუღებელი გერმანიის ღირსებისათვისო.

ჰიტლერი უხშირებს გამოსვლებს საფრანგეთის მიმართაც, მზათა ვართ პირისპირ შეგითანხმდეთო, ხოლო საფრანგეთი ევენევის საერთაშორისო შეთანხმების მომხრეა და ეხლა კითხვაა, რა გამოვა აქედან. ერთნი გაიძახიან უგერმანიოთაც შეგვიძლია კონვენციის პროექტი დავწეროთ და იძულებული გავხადოთ მივაღებინოთო, მეორენი გადადებას მოითხოვენ, სანამ გერმანია არ დაბრუნდებაო. დიდი სახელმწიფონიც ერთი აზრისა არ არიან ჯერ-ჯერობით. ამერიკა ჩვეულებრივ ხელს იბანს, ევროპის გაწამაწიაში არ ვერევიო. იტალიას სურდა ოთხთა პაქტის მომარჯვება, მაგრამ ესეც შეუძლებელი ხდება, რადგან პაქტი ემყარებოდა ერთა ლიგაზე, ხოლო გერმანია იქ არ არის. დამოკიდებულია ინგლისზე, რამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენათ სანდო იქნება მისი გამოქომაგება საფრანგეთის მეთოდისა, «მისტიკოსი» პრემიერი მაკდონალდი სუსტი თავდებია ამისათვის.

ამასობაში გერმანია საარჩევნოთ ემზადება. დაითხოვეს რაიხსტაგი, გააუქმეს ადგილობრ. პარლამენტები, მაშ ცენტრალიზაცია უქმობს თავის გამარჯვებას, და პლებისციტი, რომელიც დაადასტურებს, რა თქმა უნდა, ჰიტლერის პოლიტიკას, დახევის საშუალებას არომევს მის ავტორს. მეორეს მხრით, თუ ყენევაში ვერ გაიმარჯვა საფრანგეთის მეთოდმა, ვერსალის ზავი ისევ ამოყოფს თავს, რადგან ის ძალაში რჩებაო—ამბობს ოფიციოზი «ტან». ამ რიგათ, საფრანგეთი და გერმანია პირისპირ და ვერსალის ზავი, როგორც ბაზა! ეს იქნებოდა საბედისწერო ევროპის მშვიდობიანობისათვის. საფრანგეთი ალბათ მეორე ზომას მიმართავს წინასწარ, ის დასვამს კითხვას ერთა ლიგის წინაშე, გერმანია გავიდა, მაგრამ ლიგის პაქტი ორ წელიწადს სავალდებულოა მისთვის.

შორეული აღმოსავლეთი.

თითქო ამ ვადას უცდის იაპონიაც! ისიც გავიდა ლიგიდან, მაგრამ 1935 წლამდე ლიგაში დარჩენილთ უფლება აქვთ ჩაერიონ, როგორც ამას უკვე ჰქონდა ადგილი იაპონია ჩინეთის კონფლიქტის დროს. მაგრამ ამის გახსენებაც ხომ საკმარისია ვიფიქროთ, რომ ლიგა ყველაზე ნაკლები გარანტიაა დღეს-დღეობით! მოსკოვის ჯარები საჩქაროთ გადაყავს ციმბირის რკინის გზასო, ამბობენ ტოკიოში...

არის მეორე უფრო რეალური ძალა, რომელიც თითქო მოწოდებულია თავიდან ააცილოს შორეულ აღმოსავლეთს ცეცხლი: შეერთებული შტატები. რუზველტი წერილით მიმართავს რუსეთის «სტაროსტას» კალინინს: ჩვენს შორის არანორმალური დამოკიდებულებაა, გამოგზავნეთ კაცი, იქნებ შევთანხმდეთო. კალინინიც აფრენს ლიტვინოვს, რასაკვირველია, ნორმალურ დიპლომატურ დამოკიდებულების აღდგენა საჭიროა, ეს მოსპობს ომის საშიშროებასაცო—უპასუხებს ის რუზველტს. მოსკოვში ხარობენ, ეს რა ბედნიერება დაგვატყდა თავზეო, მაგრამ... ტოკიოშიც «ხარობენ» და ეს კი დამაფიქრებელია.

რუზველტის ექსპერიმენტი განსაცდელშია, ფერმერები აუჯანყდნენ, მათთვის კი ცდილობდა სწორეთ! რუზველტი «სოციალისტურათაც» კი ალაპარაკდა, სიმდიდრე სამართლიანათ უნდა განაწილდესო, გაგონილა? ბოლშევიკებმა რამდენი ხანია «გაანაწილეს», ნაძარცვიც რამდენჯერ გაძარცვეს! ლიტვინოვი მთელ ლექციას წაუკითხავს ამაზე სტუმართმოყვარე პრეზიდენტს თეთრ სახლში. არავინ იცის, რა გამოვა ამ ლაპარაკიდან, ორივე მხარეს გულით სურთ შეთანხმება, ეს კი უეჭველია.

თუ ამერიკამ იცნო საბჭოთა მთავრობა, უკანასკნელის ხმა აიწევს საერთაშორისო კონცერტში, ეს ცხადია, მაგრამ შეაჩერებს თუ უფრო დააჩქარებს იაპონიის დარტყამს ეს კომბინაცია? ამერიკა ვერ ჩაერევა იარაღით, იაპონიაც თავის თავზე არ აიღებს დამწყების პასუხისმგებლობას, მაგრამ ვაშინგტონის ცნობამ მოსკოვი რომ გაათამამოს? ჯერ არ უცვნია და ის კი ყალბი თუ ნამდვილი დოკუმენტებით გამოვიდა იაპონიის წინაამდეგ. იაპონიაც, ან უკეთ—მანჯუკო იჭერს მოსკოვის მაღალ მოხელეთ და ირწმუნება, ჯაშუშები არიანო. ერთი სიტყვით, ბრალდებები სხვაც ბევრია იქით-აქედან, კითხვაა მხოლოდ, ვინ დაიწყებს. ერთის მხრით, წმინდა აზიური რასა, ევროპიულათ განათლებული; მეორეს მხრით, ევრაზია,—ვინ ვის მოუგებს ხერხში? მოსკოვს არ სურს შებმა, ცხადია, მაგრამ აღმოსავლეთ-ჩინეთის გზას, ვლადივასტოკსაც ხომ ვერ დაურთობს, შინ რომ აუჯანყდნენ?

ორ ცეცხლშია, და ამას ზედ ერთვის ერთი ახალი გარემოებაც. იმდენათ გამწვავდა დამოკიდებულება მოსკოვსა და ბერლინს შორის, რომ გერმანელი სპეცები მასიურათ სტოვებენ საბჭოთა კავშირს და შინ ბრუნდებიან. ეს იწვევს დიდ არევ-დარევას საბჭოთა სამხედრო მრეწველობაში, თვით ჯარების შტაბებში. ამბობენ, გერმანელებმა ზოგი ქარხნები ააფეთქესო, რთული მანქანები გააფუჭესო, ზოგს კიდევ კლიტეები აართვესო. ასე თუ ისე, ბუდიონის ბრავადები და თვით ვოროშილოვის პარადები ამ ნაკლს ვერ შეავსებს. მართალია, საფრანგეთიდან მიემგზავრებიან ბლომათ სპეცები, მაგრამ, სანამ ისინი შეეგუებიან ახალ პირობებს, მანამ ბევრი დრო გაივლის. ფრანგები იაპონიასაც ერიდებიან, მათი ინდოჩინეთი იქვეა...

მდგომარეობა, როგორც ხედავთ, არც შორეულ აღმოსავლეთშია საიმედოთ.

ღოლუვკოს მკვლელთა პროცესი

(წერილი პოლონეთიდან)

ეს რამდენიმე დღეა სამბორის საოლქო სასამართლოში ირჩევა საქართველოს დიდი მეგობრის, განსვენებულ ღოლუვკოს მკვლელების საქმე. ამ წერილის რედაქციის მიერ გზეთში მოთავსებამდე განაჩენი უკვე გამოტანილი იქნება. საბრალმდებლო სკამზე ზის რამდენიმე უკრაინელი ყოფ. გალიციიდან—ამა თუ იმ სახით მკვლელობის მონაწილენი, მეორე ხარისხოვანი დამნაშავენი. პირდაპირი მკვლელნი ბილასი და დანილიშინი «უონ»-ის (ცნობილ კონოვალეცის გავლენის ქვეშ მყოფი—უკრაინის ორგანიზაცია—ცნობილია თავისი ტეროორისტული აქტებით; როგორც სასამართლოში გამოირკვა ამავე ორგანიზაციაში შემძვრალან ბოლშევიკებიც) აქტიური წევრნი დახვრეტილ იქნენ ამ რამდენიმე თვის უკან მათ მიერ ქ. გრუდეკში მოწყობილ და ჩატარებულ «სველი» საქმის გამო (ფოსტაზე თავდასხმა მოხელეთა დახოცვით). აღნიშნული დამნაშავენი სხვებთან ერთად ჩაუვარდათ ხელში პოლიციას და მათი საქმე გადაეცა ლვოვის საველე სასამართლოს. სწორედ ამ პროცესის დროს ნაწილობრივათ ფარდა აეხადა ღოლუვკოს მკვლელობის საიდუმლოებას, ბილასი და დანილიშინი გამოტყდენ სხვათა შორის ღოლუვკოს მკვლელობაშიაც. მკვლელობის მონაწილეთა საქმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყოფილ იქნა და გადაეცა სამოქალაქო სასამართლოს. როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნე, უკანასკნელთა საქმე დღეს სამბორის საოლქო სასამართლოში ირჩევა. სასამართლომ საქმე დაასრულა. ბრალმდებელმაც თავისი სიტყვა სთქვა. დღეს, როდესაც ამ წერილს ვწერ, ხელთა მაქვს «Kurier Poranny» ს ამა წლის 6 ოქტომბრის ნომერი—სამოქალაქო დამცველის (განსვენებულის ოჯახის ქ ნ იანინა ღოლუკოს სახელით), პოლონეთში ცნობილ ვექილის სტანისლავ შურლეის შესანიშნავი სიტყვით. ამ გაზეთის უახლოესი თანამშრომელი იყო განსვენებული. სარედაქციო კოლეგიაში შედიან მისი უახლოესი მეგობრები და ამხანაგები—მათ შორის ვხედავთ განსვენებულის ოჯახობას, რომელმაც თავს იდვა ემსახუროს თავის საყვარელ მეუღლის სპეტაკ იდეას...

როგორც რედაქციის შენიშვნიდან სჩანს, ვექილ შურლეის თავისი შეუდარებელი ორატორული ნიჭით აღსავსე სიტყვით უდიდესი შთაბეჭდილება დაუტოვებია როგორც დამსწრე საზოგადოებაზე, ისე სასამართლოს წევრებზე. სასამართლოს «გულქვა» წევრებსაც კი ვერ შეუკავებიათ თავი, რომ ცრემლები არ ეფრქვიათ.

სამწუხაროთ პროცესმა ვერ მოჰფინა ნათელი ამ უგუნურ და საზიზღარ აქტს. მკვლელების ინსპირატორთა ძიებისას ნიშნები ორი მიმართულებით მიდის—ერთი ბერლინისკენ, მეორე კი მოსკოვისკენ. მკვლელობის ერთ ორგანიზატორთაგანმა საბჭოთა რუსეთში ამოჰყო თავი და, როგორც ლვოვის უკრაინული გაზეთები გადმოგვცემენ, ბოლშევიკების მიერ დახვრეტილ იქნა. თუ კი ეს ცნობა მართალია, ბრმა ევროპიელისათვისაც დაიბადება კითხვა: რატომ დახვრიტეს? მარა ჩვენთვის ამ კითხვის დასმა ზედმეტია, რადგანაც საკმაო მაგალითები გვაქვს ბოლშევიკების მიერ მოწყობილ მსგავს საზიზღროებისა და შემდეგ სისრულეში მომყვანთა ყოველშემთხვევისათვის გაქრობისა...

ჩვენ ღრმათა ვართ დარწმუნებული, რომ ერთ დროს ღოლუკოს მკვლელობასაც სრული ნათელი მოეფინება და ვექილ შურლეის ერთ-ერთი ეჭვიც გამართლდება. აი რას ამბობს ის, სხვათა შორის, თავის სიტყვაში:

ეჭვები მიიმართებიან კიდევ სხვა მხრისაკენ. ღოლუკოს მკვლელობა მოგვაგონებს მისი მეგობრის გმირ ქართველის რამიშვილის პარიზში 1930 წ. დეკემბერში მომხდარ მკვლელობას და უფრო ადრე პეტლიურასი. ყველა სამთავე დაიღუპნენ ზურგიდან თავში დამიზნებული ტყვიით. სამთავე იღვწოდენ იმ მიწა-წყლის დამოუკიდებლობისათვის, რომელნიც გმინავენ რუსეთის უღლის ქვეშ. ღოლუკომ თავისი მამულის თავისუფლებას მიაღწია, მაგრამ არ დაივიწყა თავისი მეგობრები და მათი საქმე. იყო ყოველთვის ჰეროლდი და დამცველი რუსეთის მიერ შევიწროებულ და წამებულ ერთა დამოუკიდებლობის—მაშასადამე ისეთივე მტერი (რუსეთის) როგორც რამიშვილი და პეტლიურა. შეიძლება იმავე ხელის ტყვიამ მოსპო ის! და მართლაც არ შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მორალური წინააღმდეგობა ამ თეზისის მიღებისას; პირიქით ამაგრებენ მას ცნობები, რომელიც გამოქვეყნდა საბჭოთა ოფიციალურ პრესაში (პატივც. ვექილს მხედველობაში აქვს ალბათ «იზვესტია»—«პრავდა. კ.) «პაციფიკატორის» მკვლელობის შესახებ და ჩვენში არალეგალურ კომუნისტურში, სადაც ნათქვამია მკვლელობაზე «შეთანხმების (უკრაინელებთან. კ.) მოღვაწის და საბჭოთა რუსეთის პირწავარდნილ მტრის»...

ვექილ შურლეის ცხოველი მჭერმეტყველობით და გრძნობიერებით, ღრმა დაფიქრებით და პოლიტიკური მომენტებით აღსავსე სიტყვა ბევრი რამის მთქმელია ორ მოძმე ერთა წარსულ განწყობილებიდან. ვისურვოთ, რომ ეს სიტყვა და ერთა თავისუფლებისათვის იშვიათი რაინდი განსვ. თადეოზ ღოლუკოს თავისდადება გზის მანათობელი ყოფილიყოს მათვის მომავალში.

კახაბერი *).

ბიბლიოგრაფია

ალ. მანველიშვილი. ვეფხის-ტყაოსანი და რუსთველის ხნეოგრივი იდეოლოგია. ტფილისი 1933. 88 გვ.

კიდევ ერთი ახალი წიგნი «ვეფხის ტყაოსნის» შესახებ, ქართულ ემიგრაციაში გამოსული. ბ. ალ. მანველიშვილის წიგნი წარმოადგენს მოხსენებას, რომელიც ავტორმა წაიკითხა პარიზში ამ წელიწადნახევრის წინად. ვინც პირადად ვერ მოისმინა მაშინ, ეხლა საშუალება ექნება დაბეჭდილად გაეცნოს საინტერესო და დაკვირვებულ აზრებს.

ავტორი ეკამათება ზ. ავალიშვილის (ვეფხის ტყაოსნის საკითხები) ზოგიერთ დებულებას, მაგრამ ამასთანავე საერთოდ აშუქებს საგანს და ემყარება ტექსტის გარკვევას. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. ზოგადი ხაზებით დახასიათებულია საქართველოს კულტურა და განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ქართულ კულტურის და უცხოელთა კულტურის ურთიერთობაზე. ბ. მანველიშვილის აზრით: «რომელ დროის ნაშთებსაც კი გადაავლებთ თვალს, ერთი რამ ცხადია—აროდეს უცხო კულტურას და ხელოვნებას, მორალსა და ზნეჩვეულებებს ძლიერი კვალი არ დაუტოვებიათ ჩვენს ცხოვრებაზედ. იგინი ვერ ჩაწვდნენ ეროვნული შემოქმედების სულის სიღრმეს. შემოსწრებულ სტუმარს უკეთეს შემთხვევაში თავისი გავლენით ისტუმრებდა უკან, უარეს შემთხვევაში, თუ კი უცხო გავლენის რაიმე კვალი რჩებოდა ჩვენში, ის ჩვენი შემოქმედების პრიზმაში იმ-

---

*) «კავკასიონის» უკანასკნელ წიგნში მოთავსებულია წერილი კახაბერის ფსევდონიმით. წერილის პატივცემულ ავტორს ალბათ არ სცოდნია, რომ ამ ფსევდონიმით ჯერ საქართველოში (არალეგალ. მუშაობის დროს) მერე საზღვარ გარეთ («დამ. საქარ.» და «ბრძოლა»-ში), წერილებს ვათავსებდი. ვიმედოვნებ ამ განცხადების შემდეგ, ავტორი წერილისა მოერიდება მომავალში ჩემი ფსევდონიმის სარგებლობას. კახაბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვრეოდა და საკუთარ მოთხოვნილებათა სივრცეში იბნეოდა ხოლმე». ქართული კულტურის არსება და ქართველი ერის სულიერი თვისებები სამწუხაროთ ჯერ შესწავლული და შეფასებული არაა და ახალგაზდა რუსთველისტის დებულებანი ზოგადი ხასიათისაა და არაა ჯეროვანად დასაბუთებული, თუმცა ღა ყოვლად უდავოა, რომ ქართული შემოქმედება და მისი ნაყოფი გაცილებით უფრო მაღალი ღირებულებისაა, ვიდრე ეს აქვს წარმოდგენილი თანამედროვე ქართველს, რომელსაც ძალიან სუსტი ცოდნა აქვს თავის წარსულის.

მეორე ნაწილში ავტორი არკვევს ბ. ზ. ავალიშვილის შეხედულობას «მარგალიტისა» და ავთანდილ-ტარიელის მეგობრობის შესახებ და ტექსტიდან სათანადო ადგილების მოტანით ამტკიცებს, რომ «ვეფხის ტყაოსნის საკითხების» აზრები ამ საგანზე უსაფუძვლო არის.

ბ. ალ. მანველიშვილის წიგნი საინტერესოა. იგი უეჭველი შესამატია რუსთაველიანას ლიტერატურაში და დარწმუნებული ვართ, ყოველი ქართველი ხალისით და დაკვირვებით წაიკითხავს. შეიძლება ყველაფერში არ დაეთანხმოთ ავტორს, მაგრამ არ შეგიძლიათ ყურადღებით არ მოუსმინოთ.

საქართველოს ამბები

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სექტემბრიდან თბილისში დაიწყო პასპორტიზაცია. ქალაქი განაწილებულია 60 გამცემ პუნქტათ. ამის გამო ბევრს უხდება თბილისის დატოვება.

— წელს შემოდგომა მეტათ ცივი და წვიმიანია, რის გამო ყურძენი და სხვა ბევრი ჭირნახული არ დამწიფდა.

— სექტემბრიდან მეტეხის ციხე გაანთავსუფლეს ტუსაღებისაგან და შეუდგენ ქართულ მუზეუმათ გადაკეთებას.

— «კომუნისტი»-ს კორესპოდენტების ცნობით დასავ. საქართველოში გახშირდა ტარო სიმინდის მოპარვა ყანებში. განსაკუთრებით ამას ადგილი აქვს რკინის-გზის ლიანდაგის ახლოს. კოლმეურნეობებმა შემოიღეს ღამის ყარაულობა.

— ქუთაისში დამთავრდა დიდი საკონსერვო ქარხნის აგება. გაზეთების გადმოცემით იგი თავიდანვე ვერ ასრულებს მიცემულ გეგმებს.

— ქვემო რაჭაში ჭრებალოს მახლობლათ სპეციალისტებმა აღმოაჩინეს მთელი რიგი მადნეულობის საბადოებისა—გოგირდის, ალმადანის, ბარიტის, ტყვიისა და სხვა.

— საკავშირო მთავრობამ გადასწყვიტა კურორტ წყალტუბოს თანამედროვე ტექნიკის თანახმათ გადასაკეთებლათ დახარჯოს 13 მილ. მან.

კავკასიის ამბები

«ბატუმსკი რაბოჩი»-ს ამა წლის 11 ივნისის ნომერში ვკითხულობთ, რომ 15 მაისს გამოქვეყნებულ მეორე ხუთწლედის სამ მილიარდიანი სესხი განაღდებულა ოც დღეში,—ხელის მოწერა ასულა სამ მილიარდ 50 მილიონზე.

ადვილი დასაჯერებელი ცნობაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რასაც ამ ცნობის სათაური მოწმობს: «არც ერთი მშრომელი მეორე ხუთწლედის სესხის ობლიგაცია აუღებელი»; ან როდესაც წაიკითხავთ მუშის ტარას შარიას განცხადებას «სოვეტსკაია აფხაზია»-ს ამა წლის ოთი ივნისის ნომერში:

«კოდორის სატყეო ქარხნის ბუხჰალტერის ამხ. სამოტოის მიერ გამოწვეული ხელს ვაწერ მეორე ხუთწლედის სესხს 800 მან. და ჩემის მხრით ვიწვევ ტყის ჩამოტანის უფროსს კაკუბერიას, ყავრის დამზადების გამგეს კალანდიას, ავქსენტი კორძაიას, ტყეებუჩავას და ჯანჯღავას.»

საბრალო კაკუბერია, კალანდია, კორძაია და სხვ. გამოწვეულნი: სესხზე ხელის მოწერას მაინც ვერ გაექცეოდნენ, ვინაიდგან «არცერთი მშრომელი.. უობლიგაციოთ», ოღონდ შეჯიბრებაში გამოწვეულნი ისე იოლად და იაფად ვეღარ გამოძვრებიან,—დედი მათის შვილნი არიან და იმდენს არ მოაწერენ ხელს მაინც, რაც შარიას მოუწერია.

ამ პირობებში ადვილი დასაჯერებელია, რომ ხელის მოწერამ სავსებით დაფარა გამოცხადებული სესხი, ოღონდ... ბურჟუაზიულ ქვეყნებში, დაფარავს ხელის მოწერა გამოცხადებულ სესხს თუ არა, ხელის. მოწერას ხურავენ.

მაშ რაღას ნიშნავს «ბატუმსკი რაბოჩი»-ს ჩვილი 12 ივნისის ნომერში: «ხელის მოწერის საქმე ინდივიდუალურად მომუშავე მუშებში ცუდად მიდის» ან იქვე «ხელის მოწერა გრძელდება» (სესხი ხ.მ 4-5 ივნის სავსებით განაღდდა!).

სესხის 20 დღეში განაღდების ცნობაა ცრუ, თუ მრავალჯერ გატყავებულ ხალხს კიდევ და კიდევ აძრობენ ტყავს?

* * *

«ამხ.» შვარცმა—ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ განყოფილების უფროსმა—თავის ხელქვეითთა კრებაზე, სხვათა შორის, განაცხადა: ტრანსპორტის განსაზღვრულ დარგის ხელმძღვანელობა შეუძლია და ვალდებულია მხოლოდ ის, ვისაც საქმე ესმის. სერიოზულად ითვისებს ტექნიკას და შეუძლია ხელმძღვანელობა».

აი, ჭეშმარიტად, «ამხ.» შვარცის პირით ღაღადებს განსვენებული ზურგიელიძე. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ასეთი ბატონების ხელში ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტრანსპორტი მოშლილია. მუშა-მოსამსახურენი დამშეულნი და მცხოვრები გაწამებულნი.

* * *

იგივე «შვარცი» ბოლშევიკური «გულახდილობით» მოგვითხრობს ამიერ-კავკასიაში ტრანსპორტის მოშლას (იხ. «კომ.» № 205). მისი აზრით «უბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურება იმაში კი არ არის, რომ ტრანსპორტის მუშაობა შეფერხებულია, არამედ იმაში, რომ რკინისგზის მუშაკთა უმრავლესობა ვერ ამჩნევს, ვერ ხედავს ამ საგანგაშო ნიშნებს...» და ქვევით «ტრანსპორტის ხელმძღვანელი ორგანოები დაავათმყოფებულია ბიუროკრატიზმით, ისინი მთელ დროს ანდომებენ პატაკებს, ქაღალდების წერას და ბიუროკრატულ ბრძანებლობას...»

სწორედ გულახდილი «ბოლშევიკური» აღსარებაა იმისა, რასაც უბრალო მეისრეც კი ხედავს ყოველდღიურად. ოღონდაც ხედავენ, მაგრამ არავინ ბედავს ტრანსპორტის მოშლის ნამდვილ მიზეზთა შესახებ «გულახდილ» მუსაიფს! ეს ხომ მუსაიფი იქნებოდა სტალინის და მისი მონა შვარცების სივაგლახეზე! ჭეშმარიტად, რომ რკინისგზელებს არ მოსწყურებიათ სოლოვკებზე და ტურუხანის ტაიგებში სააგარაკოთ მგზავრობა, რომ ასეთ თემებზე ჯერ კიდევ გული გაშალონ.

* * *

საბჭოთა რუსეთი «რეკორდების» ქვეყანაა. აი ერთი ასეთი რეკორდიც: სექტემბრის პიოველ რიცხვებში თბილისში ჩამოიარა მოსკოვის ავტოკოლონამ, რომელსაც თბილისის კომუნისტური «ვარსკვლავნი» დიდი ზეიმით შეხვდენ. წარმოიდგინეთ, ამეტყველდა «უდიდესი გამარჯვების» გამო ცოცხალი ლენი მახარაძეც. როგორც გაზეთი სწერს (იხ. «ზ. ვოსტ.») ავტოკოლონა მოსკოვიდან გამოსულა 6 ივლისს და ბაქოში ჩამოსულა 31 აგვისტოს. არ გამოუდგებით აქ იმ ბოლშევიკურ ტრაბახს, რომლითაც სავსეა გაზეთის ფურცლები, მხოლოდ ვიმოწმებთ იმავე გაზეთს ბაქო-თბილისს გადარბენაზე. გაზეთის ცნობით—კოლონა ბაქოდან გამოვიდა 3 სექტემბერს დილით, ხოლო თბილისში ჩამოვიდა 7 სექტემბერს საღამოს 5 საათზე, ე. ი. ხუთი დღის განმავლობაში გაიარა 600 კილომეტრი. რაც უდრის 120 კილ. დღეში!

სწორედ, რომ ბოლშევიკური რეკორდია. და არ ვფიქრობთ ევროპაში ამას ვინმემ წააცილოს, სადაც უბრალო მედუქნე თავის დანჟღრეულ ავტოთი დღეში აკეთებს იმას, რაც ბოლშევიკების სანაქებო კოლონას ხუთ დღეში გაუკეთებია. მიღწევებიც ასეთი უნდა. ალბათ მაქსიმ გორკი ოდესმე გვეტყვის, თუ რამდენი ათასი კაცის «გადადნობა» დასჭირდა გეპეუს ასეთი რეკორდის მისაღწევად.

* * *

ერთგვარი «რეკორდი» ბორჩალოს მაზრაშიც ყოფილა მიღწეული. როგორც გაზეთი იტყობინება (იხ. «კომ.» № 206) სანდარის დამზადებელ პუნქტს მიუღია გლეხებიდან ჩამორთმეული 483.723 ცენტნერი ხორბალი. ამ ჯამში შედის: სავალდებულო გადასახადი, ნატურალური ანაზღაურება, სათესლე სესხი და სხვა მრავალი პურადი ბეგარა. სანდარის პუნქტს მიღებით-მიუღია ზემოაღნიშნული პურის ოდნობა, მაგრამ ბოლშევიკების ბუხჰალტერს ვიღაც მაზურას არც კი უზრუნვია ჩაეწერა, თუ ვინ, რამდენი ჩაბარა პუნქტს და რა კატეგორიის გადასახადის ანგარიშში. და აი ეხლა ბორჩალოს «სოლომონებს» დაუგზავნიათ კოლმეურნეობებში ბრიგადები, რათა გამოკითხონ თითეულ გლეხს, რამდენი ფუთი პური ჩააბარა პუნქტს და რა კატეგორიის გადასახადში.

აი რას ნიშნავს, როდესაც ხალხის ნაოფლარს არაფრად აგდებენ. უკანასკნელ ლუკმას პირიდან სტაცებენ და თავსაც არ იწუხებენ, რომ სწორად ჩასწერონ ის, რაც წაართვეს გაძვალტყავებულ გლეხს. ეს, მართლაც რომ ცინიზმის და ხალხის აბუჩად აგდების რეკორდია, რაც ასე ახასიათებს მოსკოვის ყაჩაღებს და მის ადგილობრივ აგენტებს.

* * *

უკეთეს დღეში არც ადერბეიჯანის გლეხობაა. ევლახის მიმღებ პუნქტზე უკვე დაუწყია დენა ბამბის ახალ მოსავალს. მაგრამ, როგორც იტყობინებიან (იხ. «ზარ. ვოსტ.»), ამისთვის ჯერ არავითარი მარაგი არ არის ადგილობრივ. ბამბის ქარხნის რემონტი ჯერაც არ დაწყებულა და, ამრიგად, ნედლი ბამბაციის ქვეშ ყრია. ქარხანაში დაგროვილა დიდძალი თესლი, მაგრამ რკინის გზა ვაგონებს ვერ იძლევაო—მოსთქვამს კორესპოდენტი.

უნდა აღვიაროთ, რომ ბოლშევიკებმა დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინეს ხალხის ნაოფლარის მითვისებაში, მაგრამ პირდაპირ ვასაშტერებელი ვირტუოზები აღმოჩნდენ მის დალპობა გაჩანაგებაში. ევლახელ გლეხებს ნუგეშად მხოლოდ ღა ის დარჩენია, რომ მათი სისხლით მოყვანილი ბამბა არც გამტაცებლებს გამოსდგომიათ. მშრომელთა ცარცვა-გლეჯა მანამდე იქნება სანამ განაწამები გლეხობა და გაღატაკებული მუშები კისერს არ მოუგრეხენ კრემლის ბატონებს და მის ადგილობრივ ლაქიებს. ამის შემდეგ კი გლეხს მისი ნაშრომი დარჩება და მუშას მისი ნაოფლარი.

ქართველები პრაღაში

ისტორიული აგვისტო-სექტემბრის წლის თავზე შეიკრიბა აქ ქართველთ ემიგრანტთა საზოგადოება და მოწიწებით მოიგონა საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულნი. მიღებულ იქნა რეზოლუცია აღთქმით—არასოდეს არ გადავუდგეთ ქართველ ერს მის დღევანდელ განმათავისუფლებელ ბრძოლაში და როგორც აქამდის, ისე მომავალში ერთგულება მისდამი დაე იყოს ჩვენი სიცოცხლის აზრი და შინაარსი.

ცრუ ცნობა

ამას წინად რუსულ გაზეთ «ვოზროჟდენიე»-ში მოთავსებული ცნობა—ვითომც გენერალ იუდენიჩის პანაშვიდს დაესწრენ ბბ. ნოე ყორდანია და აკ. ჩხენკელი—მოკლებულია ყოველივე სიმართლეს.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r OURATADZE
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.